

გაზეთი ბეჭდის, „ვერსი“ ერთი

# ვერსი

ფასი 60 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№90 (1116) 16 - 17 სექტემბერი, 2015 წელი

## „ვიცი, ამ განსხვავებით აგრესიას გამოვიწვევ, მაგრამ რეალობას ვერ დაგიმალავთ“



გვ. 3

რა შემთხვევაში დაიშლება კოდიცია, მოდის თუ არა კოდიციაში უცა ივანიშვიდი და მართავენ თუ არა ნაციონალები ოპოზიციურ პარტიებს

## გიორგი ვოლსკის სკანდალური ინტერვიუ

## ქართველ სიამის ტყუპს გერმანიაში უნიკალური ოპერაცია ჩაუტარდა

„საოცრებაა, თამარი და თებროდე მადე ცად-ცადვე ირბენენ“



გვ. 9

ექსტლუივი გერმანიიდან

## თანამედროვე კონტრაცეპციული კიბოს ინჟინს



„რა უფრო გენოციდია — ჩასახვის სანინამლდევო აბების მიღება თუ აბორტების შედეგად უშვილო ქალების რაოდენობის ზრდა?!“

## ექსტლუივი ინტერვიუ აკონომიკის მინისტრთან



გვ. 4

დიმიტრი ქუმსიშვიდი ჩინეთში ვიზიტს აფასებს

## საქართველოსთვის მილიარდ 400-მილიონიანი ბაზარი იხსნება

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა ქართველ მენარმეებს პრობლემებს შეუქმნის?!

## განაჩენი მაფყუარა პატიმრისთვის

გვ. 6



კაცობის დღიური


რაცომ არ აიღეს სვანებმა მკვლელის სისხდი

## უკრაინის ოლიგარქები მიხეილ სააკაშვილს „დაძინებით“ ეპუქრებინან

გვ. 7

ვინ, რაცომ უპირისპირდება საქართველოს ექსპრეზიდენტს და რაცომ პროგნოზირებენ მის გაპრემიერებას უკრაინაში





# ვის დარჩება საგარეჯო?!

ინტერვიუ კომპანიის  
599-95-33-16

31 ოქტომბერს საქართველოს ორ რაიონში, მარტვილსა და საგარეჯოში უცნაური შუალედური არჩევნები ჩატარდება. უცნაური იმიტომ, რომ ჯერ მთელი ოპოზიციის არჩევნების წინააღმდეგ დაიარაღება და ბოიკოტი გამოაცხადდა, შემდეგ მათგან რამდენიმე არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. საბოლოოდ, დღეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ გვერდზე 5 საარჩევნო სუბიექტია დარეგისტრირებული. მათგან ოთხი ოპოზიციურია. ამ ოთხიდან კი ერთი აცხადებს, რომ ბოიკოტს აგრძელებს, მეორე ირწმუნება, ცესკო შეცდომაში პარტიის ყოფილმა წევრებმა შეიყვანეს და პარტია მოტყუებით დაარეგისტრირებინესო.

მარტვილსა და საგარეჯოში შუალედური საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდება. მარტვილის მაჟორიტარი ნაციონალური მოძრაობიდან ნაული ჯანაშია გარდაიცვალა, საგარეჯოს მაჟორიტარმა თინა ხიდაშელმა კი პარლამენტიდან მთავრობაში გადაინაცვლა. ოპოზიციის წყრომის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საარჩევნო სისტემაში ხელშეწყობები ცვლილებები არ მომხდარა და შუალედური არჩევნები ძველი, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საგარეჯოს 11 და

# ოპოზიციის არჩევნები ბოიკოტი და ორი რეალური ქალაქი შუალედურ არჩევნებზე

მარტვილის 65 ოლქში ჩატარდება. 31 ოქტომბერსვე ტარდება საკრებულოს შუალედური არჩევნები დმანისში, ვანში, ხობსა და საგარეჯოში. რეგისტრირებულ საარჩევნო პარტიებს რაც შეეხება, მათ შორისაა ნაციონალური მოძრაობა განაცხადით, რომ რჩება ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა გამოიყენებს უფასო საეთერო დროსა და საარჩევნო კამპანიის სხვა სიკეთებს, რათა ამომრჩევლებს უკეთ აუხსნას, რატომ არ მონაწილეობს არჩევნებში. ნაციონალურ კონკრეტულ კანდიდატს არც საგარეჯოში ეყოლებათ, არც მარტვილში, სადაც წინა არჩევნებზე გაიმარჯვეს. არჩევნებში მონაწილეობას ასევე გაერთიანება, „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა — უფალია ჩვენი სიმართლე“ მიიღებს. ცესკო-ს მონაცემებით, კიდევ ერთი რეგისტრირებული პარტია ირაკლი ლლონტის რეფორმატორებია, რომელთაც საინტერესო ამბავი გადახდათ თავს. ამ პარტიის ორმა ყოფილმა წევრმა ჯერ თავმჯდომარეობიდან ლლონტის გადაყენება სცადა, პარტიული ყრილობის გაყალბებული ოქმებით, შემდეგ კი, თავმჯდომარის უკითხავად, ცესკო შეიყვანა შეცდომაში და პარტია შუალედურ არჩევნებზე დაარეგისტრირა. მიუხედავად ამისა, პარტიაში საგანგებო განცხადება უკვე გაკეთდა, სადაც ირაკლი ლლონტი არჩევნებში მონაწილეობას კვლავ გამოიცილებს. თუმცა, ცესკო-ს ოფიციალურ გვერდზე პარტია „რეფორმატორები“ რეგისტრაციიდან მოხსნილი არაა. ამ დროისთვის ბოიკოტის რეჟიმში რჩებიან ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, კახა კუკავა, ახალი მემარჯვენეები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ევროპელი დემოკრატები, ტრადიციონალისტთა კავშირი, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ძალოვან ვეტერანთა პოლიტიკური მოძრაობა და რეფორმატორები. ამ ორომტრიალის მიუხედავად კი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მაინც საგარეჯოსკენაა მიპყრობილი, სადაც ახალ მაჟორიტარს 49 საარჩევნო უბანზე 46 011 ადამიანი აირჩევს. 1 ოქტომბრამდე პარტიებს კანდიდატების წარდგენის ვადა კვლავ რჩებათ, თუმცა უკვე ნათელია, რომ პარლამენტში შესვლისთვის ბრძოლა ორ ძირითად კანდიდატს, „ოცნებიდან“ თამარ ხიდაშელსა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან ირმა ინაშვილს შორის გაიმართება.

თავისი ბიოგრაფიითა და ბეგრუნდით კი ხელნაშობსა კრავი არც ერთია. სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, საგარეჯოში ინაშვილი ლიდერობს, თუმცა სამთავრობო კანდიდატსაც აქვს უდავო უპირატესობები. ირმა ინაშვილი წლების განმავლობაში ყურნალისტი იყო, დღეს იგი პარტიული ლიდერია, ხოლო „პატრიოტთა ალიანსმა“ პირველივე გასროლაზე მიზანში მოარტყა და ადგილობრივ არჩევნებში თბილისისა და სხვადასხვა რაიონის საკრებულოებში ხალხიც გაიყვანა. ინაშვილის საარჩევნო კამპანია კახეთში კარგა ხანია აქტიურ ფაზაშია. სამთავრობო კანდიდატის, თამარ ხიდაშელის მთავარი ფორა კი სწორედ სამთავრობო კანდიდატობაა, თუმცა პირადადაა საზოგადოებისთვის უცნობი სახე. 2008-2010 წლებში იგი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე იყო, შემდეგ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა, ხოლო რამდენიმე კვირის წინ იგი რესპუბლიკურ პარტიას შეუერთდა. ამ კანდიდატის წყალობით, საგარეჯოს, ხუმრობით, „სახიდაშელისა“ უწოდებენ, თავად თავდაცვის მინისტრისა და საგარეჯოს ექსმაჟორიტარის, თინა ხიდაშელის შეფასებით კი, თამარ ხიდაშელი მასზე გაცილებით აქტიური იქნება. ინაშვილ-ხიდაშელს შორის პოლიტიკური დაპირისპირებაც უკვე სახეზეა — რესპუბლიკელები ამ არჩევნებს საგარეო პოლიტიკურ ვექტორთან აკავშირებენ და ამ შეფასების ქვეტექსტი ისაა, რომ ხიდაშელის არჩევით, საგარეჯო დემოკრატიულ დასავლეთს აირჩევს, ინაშვილის არჩევით კი — ჩრდილოელ მეზობელს. შეფასებებში რესპუბლიკელებს არც ირმა ინაშვილი ჩამორჩა და განაცხადა, რომ ეს პარტია ნაციონალური მოძრაობის გზას ადგას. ინაშვილის მთავარი განაცხადი ჯერჯერობით ისაა, რომ ხალხს ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს არ მისცემს. ოფიციალურად, მისი საარჩევნო კამპანია 6 ოქტომბრიდან დაიწყება. ხიდაშელის მთავარი დაპირება კი წინამორბედი ხიდაშელის დაპირებების შესრულებაა, რადგან არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი და ყველა ახალ განაცხადს უპასუხისმგებლოდ მიიჩნევს. რაც შეეხება მარტვილის რაიონს, კოალიციიდან მაჟორიტარობის კანდიდატად სოსო დანელია დასახელებული, პატრიოტთა ალიანსს კი ჯერ კანდიდატი არ დაუსახელებია.

## პარსიანიუსი

### თბილისის პირველად მინათსარგებლობის დებალური ბენარალური გეგმა ექნება

დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითადი დოკუმენტის შექმნის მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული მსხვილი საერთაშორისო კონსორციუმში უკვე გამოვლენილია. საუკეთესო საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასების პროცესში, დედაქალაქის მთავრობას კონსულტაციას უწევდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია PWC. ანგარიში კონკურსის შესახებ დედაქალაქის მერმა და კომპანია PWC-ის წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილს წარუდგინეს. მთავრობის მეთაური გენერალური გეგმის შექმნის მიზნით გამოცხადებული კონკურსით მსხვილი კომპანიების დაინტერესებას მიესალმება და მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ თბილისს, ისტორიაში პირველად, სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი ექნება. დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში 11-მა მსხვილმა კონსორციუმმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ერთი საუკეთესო შეირჩა.



„პირველი“



### საკრებულოს დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ

თბილისის საკრებულოში, ურბანული განვითარების კომისიის სხდომაზე, თამარაშვილის ქუჩაზე დაგეგმილი მშენებარე პროექტების განხილვისას, დაპირისპირება მოხდა. სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირება დეველოპერული კომპანიის წარმომადგენელსა და თამარაშვილის ქუჩის მცხოვრებს შორის მოხდა, რაც სხდომის შემდეგ ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. „გავაკეთეთ ამხელა ინვესტიციები, გამოდის, ეს არის ბიზნესზე შეფურთხება და თქმა, არ გავაკეთოთ ბიზნესი, არ განავითაროთ ეკონომიკა და კურსი ანით“, — განაცხადა „არქი ჯგუფის“ წარმომადგენელმა ილია წულაიამ, რის შემდეგაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თამარაშვილის ქუჩის მცხოვრებს ნოდარ ჩხოლარიას. თავად ჩხოლარიამ, სხდომის შემდეგ წულაიასგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. როგორც ჩხოლარიამ ურნალისტებთან განაცხადა, მერიას და საკრებულოს უფლება არ აქვს 7-სართულიანი შენობის მშენებლობისას, 3-ჯერ მეტი სიმაღლის შენობის აშენების ნებართვა გაცემს: „ჩვენ ვითხოვთ, როდესაც 7-სართულიანი კორპუსი აშენდება, არ შეიძლება ვინმემ, ან მერიამ, ან საკრებულომ დაუმტკიცოს შენობის 3-ჯერ მეტად სიმაღლეში გაშვება. ჩვენ ვითხოვთ, ხეები არ უნდა გაჩეხილიყო. მოიჭრა 12 ხე, დამნაშავე კი დღემდე არ არის. მოიჭრა 25 ხე დამნაშავე დღემდე არ არის. აი, ასეა ერთი წელიწადია“. საკრებულოს სხდომაზე 70 მილიონი ლარის 6 სხვადასხვა პროექტი განიხილებოდა, რომლის მიხედვით, თამარაშვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები უნდა აშენდეს.

„პირველი“

### ყველა ახლადანიშნული ნოტარიუსი პირველ სამ წელიწადს რეგიონში იმუშაავებს

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, ნოტარიუსი, რომელიც ახალი დანიშნული იქნება, მუშაობის პირველ სამ წელს რეგიონში გაატარებს. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ცვლილებები „ნოტარიატის შესახებ“ კანონსა და „საგადასახადო კოდექსში“ შედის. „ნოტარიატის შესახებ კანონში“ ცვლილებების პროექტის თანახმად, ახლადანიშნული ნოტარიუსი პირველი სამი წლის განმავლობაში სანოტარო საქმიანობას განახორციელებს მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო სამსახური სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. იუსტიციის მინისტრის თქმით, თუკი ახლადანიშნული ნოტარიუსი უარს იტყვის შესაბამის რეგიონში მუშაობაზე, ეს იქნება მისი ნოტარიუსად დანიშნვაზე უარის თქმის მიზეზი: „კანონპროექტის მომზადება სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემებმა განაპირობა. საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში ნოტარიუსთა ბიუროები არ ფუნქციონირებს, საქართველოს პატარა ქალაქებსა და მაღალმთიან რეგიონებში ნოტარიუსები და სანოტარო ბიუროები განთავსებაზე უარს იმ მიზეზით აცხადებენ, რომ მათი საქმიანობა ფინანსურად წამგებანია. სწორედ ამიტომ ნოტარიუსებს, რომლებიც იმ რეგიონებში იმუშავენ, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ფინანსურ დახმარებას ნოტარიუსთა პალატა გაუწევს. მათ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილი თანხაც აუნაზღაურდებათ“.

„პირველი“







# „ვიცი, ამ განსხვავებით აბრასიას გამოვიწვევ, მაგრამ რეალობას ვერ დაგიმალავთ“

## რა შემთხვევაში უნინასწარმეცვედებს კოდიციას დაშდს გიორგი კოდსკი

ენიმო კომანსიძე  
599-95-33-16

მძიმე სოციალური ფონის გამო შექმნილ რამდენიმე კრიზისულ კერას ქვეყანაში კოალიცია „ოცნების“ გარშემო გავრცელებული ჭორ-მართალიც ემატება. იქნება შთაბეჭდილება, რომ სავალუტოსთან ერთად, საარჩევნო-პოლიტიკურ კრიზისშიც შევდივართ: ვილაც საპარლამენტო ქაოსს ვარაუდობს, ვილაც კახეთის შემოღობვითა და რუსეთისთვის მიერთებით იმუქრება, ვილაც კი გლეხებისა და ლარის „გაჭირვებას“ სათავისოდ იყენებს და შუალედური არჩევნების წინ პიარკამპანია აქვს გაჩაღებული. ემუქრება თუ არა კოალიციას დაშლა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, როგორ ხსნიან ოპოზიციის ბოიკოტს სახელისუფლო წრეებში და რას პასუხობს სახელმწიფო კახელი მევენახეების რეალურ თუ ირეალურ მოთხოვნებს — „ვერსია“ უმრავლესობის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერთან, ბიორბი ვოლსკინსთან ინტერვიუს ეთავაზობთ.

— ბატონო გიორგი, ბოლო დროს კოალიციის დაშლის თემა ისევ გააქტიურდა და ამ მოსაზრებას უკვე მოსალოდნელი საკადრო წმენდა და განახლებული საპარლამენტო სიებიც ემატება. ჭორიც კი გავრცელდა, ამ სიას სათავეში ბიძინა ივანიშვილის ვაჟი, უტა ჩაუდგება, რესპუბლიკელები კი სიაში საერთოდ აღარ იქნებიანო. რეალურად, პარტიასა და კოალიციაში რა ხდება?

— კოალიციის პოლიტიკური ერთობა კითხვისნიშნის ქვეშ არ დგას. რაღაც საკითხებზე ვკამათობთ, ხანდახან პიროვნული დაპირისპირებებიც არის ხოლმე, მაგრამ კოალიციური რეჟიმი ყველა მხარისთვის მისაღებია. ამ საკითხში პრაგმატიზმი ნებისმიერ უთანხმოებაზე მეტია. უტას საკითხს რაც შეეხება, ასე მგონია, რაღაც მედიაციული ან საექსპერტო წრე დაჯდა და გადაწყვიტა, უტას სახით ხელოვნური თემა შემოგადოს. ეს თემა, შესაძლოა, საკმაოდ აქტუალურიც გახდეს. რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილის გვარსა და მის ოჯახთან დაკავშირებული ნებისმიერი თემა პოპულარული იქნება, რადგან მისი ქველმოქმედებისა და დამსახურების შესახებ ამ ქვეყანაში ყველასთვის ცნობილია. თუმცა მსგავსი რამ პარტიასა და კოალიციაში არ განხილულა. ხოლო თუ ეს საკითხი ოდესმე მართლად დადგა, უტას შემთხვევაში, მხოლოდ მისი გვარი არ იქნება გადაწყვეტი, რადგან ქვეყანას ინტელექტუალური ახალგაზრდები სჭირდება.

— ზოგადად, არ გეჩვენებათ, რომ ბიძინა ივანიშვილის გვარი სულ უფრო ხშირად ასოცირდება იმედგაცრუებასთან და კითხვა, რა როლი იქნება მას 2016 წლის არჩევნებზე, მუდმივად აქტუალურია?

— ასე არ ვფიქრობ. ივანიშვილი საკუთარ თავთან მართალია და მისი მიზანი დიტირამების მომღერალთა ჯგუფების შექმნა არასოდეს ყოფილა. რეალურად, დღეს, როცა უკმაყოფილების სხვადასხვა კერა არსებობს ქვეყანაში, ხელს ყველა ხელისუფლებისკენ იშვრს, რომელსაც ივანიშვილთან აკავშირებენ. ეს ფანდია! ნაციონალური მოძრაობის მიზანია, მსოფლიო დააჯეროს, რომ პრემიერი, მინისტრთა კაბინეტი, პარლამენტი და მთელი სახელისუფლო ვერტიკალი პრაქტიკულად, არაფერს წყვეტს ივანიშვილის გარეშე და მათთან საუბარს აზრი არ აქვს. ეს მთავრობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია უფროა, ვიდრე ივანიშვილის. მას ამით ბევრს ვერაფერს დააკლებენ, სამაგიეროდ სურთ, ეს ბრძოლა პრემიერის წინააღმდეგ მიმართონ. ახლა ამ კითხვაზე რაც უნდა გიპასუხოთ, თემით სპეკულაცია არასოდეს დასრულდება. ეს მოძრაობა მთლიანად არსებული ხელისუფლების დამცირებისა და დაკნინებისკენაა მიმართული.

— ამ კამპანიის გამოძახილია ხელისუფლების გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, პარტიული „სტაფის“ შეცვლა და ცესკო-ს ხელში ჩაგდება — ვისმენი შეფასებებს, რომ ნაციონალურ გზას დაადექით, რადგან წლის ბოლოს, ცესკო-ში 300 მოხელეს, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ეწურება, მთლიანად თქვენი კადრით დააკომპლექტებთ.

— საარჩევნო კომისიის შემადგენლობას კანონი განსაზღვრავს. ნაციონალური მოძრაობის გზას დაადგენო, ჩვენზე ის ხალხი ამბობს, ვინც შუალედურ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ისინი იყენებენ და დარჩენენ ნაციონალურ სატელიტებად.

— თქვენ ახლა მთელი ოპოზიცია გალანძღვით, ინაშვილის გარდა.

— ალბათ, ასეა. ირმა ინაშვილმა თავისი პრაგმატული პოლიტიკური ნიშა დაიჭირა, თორემ ჩვენგან რამე შესაქები კი არ სჭირს?! ერთკაციანმა პარტიებმა კი სხვა ნიშა ვერ მოძებნეს და როგორც ადრე, ახლაც ასე გაერთიანდნენ ნაციონალური მოძრაობის გარშემო. ვფიქრობ, ნაციონალურთან ნინო ბურჯანაძესაც

ბევრი რამ აკავშირებს. ვილაცებს კი სურთ, ეს არჩევნები ისე წარმოაჩინონ, თითქოს ბურჯანაძე, ინაშვილი რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები არიან. ასე არაა და ნუ მივცემთ ამხელა როლს ნურც ერთ და ნურც მეორე პარტიას.

— ახლა თქვენი თანაგუნდელის, დავით ბერძენიშვილის განცხადებაზე მესაუბრებთ, რომელსაც ასეთი ქვეტექსტი ჰქონდა — საგარეჯოს არჩევნებზე, ინაშვილისა და სიდაშვილის უკან რუსეთისა და დასავლეთის ბრძოლა მოიაზრებო?

— მის ამ კონცეფციას არ ვეთანხმები. საერთოდ, წამგებიანი პოზიციაა, ადამიანი რომელიმე ქვეყნის მიერ მხარდაჭერილად გამოაცხადო. „ოცნებამ“ კი ავტორიტეტი უკვე მოიპოვა არჩევნების გაყვალბების თემის გამორიცხვით. საარჩევნო კომისია სულ რომ „ოცნების“ ხალხით დაკომპლექტდეს, გაყვალბება მაინც გამოირიცხვება.

— რატომ, სიტყვაზე უნდა გენდოთ?

— ნუ მენდობით, უბრალოდ, „ოცნებას“ რამდენი კვოტაც ეკუთვნის, იმდენი კაცი ეყოლება ცესკო-ში. ვიდრე ხელისუფლებაში ჩვენ ვიქნებით, არჩევნები არ გაყვალბდება! ოპოზიციას დაუზღუბდეთ — მესმის, ყველა ერთდებო კონკრეტული გვარების დასახელებას. ისიც მესმის, ახლა 10 კაცის გვარს რომ დაგასახელებს, ათივე პარტიის სამიზნე გავხდები, რა ძლიერი პარტიაც უნდა იდგეს ჩემს უკან.

— ახლა ოპოზიციის ბოიკოტზე ვსაუბრობთ და ეს პოზიცია მათ ერთი წელია აქვთ. რატომ ხართ ახლა ასე გაბრაზებული?

— პიროვნულად ვინმეზე კი არ ვბრაზობ, უბრალოდ, ეს ერთკაციანი პარტიები ქვეყნისთვის ძალიან ცუდ რამეს ითხოვენ, სინამდვილეში კი მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე დარჩენა სურთ და ამისთვის ყველაფერზე წაველენ. მათ შორის არიან ისეთები, ვისაც პოლიტსაბჭოს ყველა წევრი დასცილდა და მარტო დატოვა, რადგან ვამიფრთა სქემამ, რომლითაც ნაციონალური აფინანსებდნენ, მათ შორისაა გურამ ჩახვამე, რომელიც ნაციონალურმა პარლამენტმა დასავლეთის დასახაზად შეიყვანეს და ისიც „ოპოზიციის სახით“ არსებობდა. მათზე აუგს დამცირების მიზნით არ ვამბობ — ამ ბოიკოტის რეალურ სიტუაციას ვხატავ. დღეს ზურაბ ხარატიშვილიც გვიკითხნენ რაღაც სქემებზე და ამ დემოგაიასთან გამკლავება ძალიან ძნელია. 2012 წელს ამომრჩეველთა რაოდენობას შორის სხვადასხვა რაიონში დიდი დისბალანსი იყო და ამიტომ გადაწყდა, 2016 წლის არჩევნები ოლქების გათანაბრების პრინციპით ჩატარდეს. მათი მოთხოვნა კი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება და მაჟორიტარული არჩევნების წესის საერთოდ გაუქმებაა. ჩვენ რომ ეს დღესვე გავაკეთოთ, ქვეყანაში ცუდი პროცესები დაიწყება. ჯერ ერთი, უნდა მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილება, ჩვენ კი საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვაქვს.

— უმრავლესობა გაქვთ, თუ „ოცნება“ მხარს დაუჭერს ინიციატივას, რადგან ნაციონალური და ალანანის პარტია ხელდახმობს გელოდებიან.

— უმრავლესობა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენმა პარტიამ, 46-მა კაცმა ერთი პოზიცია დაიჭირა, ნაციონალურ მოძრაობასა და თავისუფალ დემოკრატებთან ერთად. გარდა იმისა, რომ ეს მორალურად გაუმართლებელია, პრაგმატულადაც არასწორია — ამ პოზიციას შესაძლოა უმრავლესობის დეპუტატების დიდი ნაწილი დაუპირისპირდეს და საპარლამენტო კოალიცია დაიშალოს. ეს საპარლამენტო უმცირესობასაც გააქრობს და არჩევნების წინ, პარლამენტში ქაოსური ვითარება შეიქმნება. ეს ქვეყანას არ სჭირდება, რადგან პარლამენტს, არჩევნების გარდა, სხვა უამრავ

ვი საკითხი აქვს განსახილველი. ამგვარი ვითარება კი ყველაზე მეტად ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. ეს საკითხი რომ დადგეს დღის წესრიგში, „ოცნებიდან“ გარკვეული ჯგუფი ნაციონალურთან დადგება, საბოლოოდ, 113 ხმას მაინც ვერ შეგროვებენ და საკითხს ვერ გაიტანენ, მაგრამ ქაოსსა და არეულობას შექმნიან. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ ისეთი ძლიერი არაა, რაიონები პარლამენტში არაფერს წარმოადგინოს. მესამე პრობლემა ისაა, რომ მარტო მაჟორიტარული წესის გაუქმება კი არა, საკონსტიტუციო ცვლილებათა მთელი პაკეტი უნდა მომზადდეს, მათ შორის, პრეზიდენტის არჩევის წესი. ამ პაკეტის მისაღებად ახლა პარლამენტი მზად არაა — პირდაპირ გეტყვით, ამ საკითხზე შეთანხმება არ არსებობს. ამ დროს, ეს ოპოზიცია ჩვენგან აი, ამ ქაოსს მოითხოვს. სწორედ ამიტომ ვარ გალიზიანებული. მეცოდებიან კიდევ, რადგან ასე ცდილობენ თავის გადარჩენას და უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღვენ, რაც ენაზე მოადგებათ. მათ შორის, მეტ-ნაკლებად, სერიოზული ძალა ნინო ბურჯანაძე და ნაციონალური მოძრაობაა. არ ვიცი, მათ ამ თამაშში ბურჯანაძე ჩაითრიეს თუ ჩაიყოლიეს, მაგრამ ეს ბოიკოტი ჩემთვის ლაკმუსის ქალაღვიფრია.

— ე.ი. ნაციონალური მართავენ 10 ოპოზიციურ პარტიას?

— ჯერ ერთი, ნაციონალურმა შუალედური არჩევნებისთვის ბოიკოტი რომ არ გამოეცხადებინათ, მოიგებდნენ? იცოდნენ, მეორე ადგილზეც ვერ გავიდოდნენ და დანარჩენებიც შეგაუღლიანეს. ფაქტია, ბურჯანაძის ჩათვლით, ყველა პარტია ნაციონალურის ყოფილი და ახლანდელი თანამშრომელია. ვიცი, ამ განცხადებებით ამ პარტიებში აგრესიას გამოვიწვევ, მაგრამ იმის გამო, რომ მე არ მომეყენონ შეურაცხყოფა, რეალობას ვერ დაგიმალავთ. რაც შეეხება იმას, რას აპირებს „ოცნება“ 2020 წელს: გვსურს, შევიწინარწინოთ რეგიონული წარმომადგენლობის პრინციპიცა და პროპორციული სიებიც. ამ ოპოზიციას კი გადარჩენის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი სიაში მოხვდება, რადგან პარლამენტში მოხვედრის და კარიერის გაგრძელების სხვა გზა არ გააჩნიათ. ალბათ ჰგონიათ, ნაციონალური რომელიმე მათგანს თავიანთ სიაში შეიყვანენ.

— თუმცა რეგიონულ-პროპორციული სიები ამ ნუთებში აქციაზე მდგომარეობს გლეხებს სულ არ აინტერესებთ — თქვენი განცხადება ვნახე, არც ერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩებო. ამისთვის სახელმწიფოს რა სახსრები აქვს?

— ნაციონალურის ყოფილი გუბერნატორები, გიორგი ღვინაშვილი და პეტრე ცისკარიშვილი ოცნებობდნენ, რთვლის დროს სეტყვა მოსულიყო და ბევრი ყურძენი არ ჰქონოდათ დასაბინავებელი. რა სუბსიდირებასა და მოსავლის დაზღვევაზე იყო საუბარი. არაფერს ვაყვედრი, მაგრამ როცა 300 მილიონი შემოვიდა რეგიონში, ამ ფულით მეურნეობის უკეთ მოწყობაც შეიძლება. ალბათ, სახელმწიფო სამსახურებსაც ვვალდებთ, უკეთ ასწავლონ ფერმერული მეურნეობა. რატომღაც, აზრი ჩამოგვიყალიბდა, რომ სოფლის მეურნეობა და მევენახეობა მსოფლიოში საუკეთესოდ ვიცი, არადა ასე არაა და ამ კუთხით, სახელმწიფომაც სერიოზულად დააკლო მუშაობა. ალბათ, მეტი სანარმოო უნდა გვექონდეს. არაფერს ვიქნებ არ ვიძლევი, მაგრამ ვამბობ, რომ მაღალი ხარისხის ანუ კონდიციონერულ ყურძენს, რომელიც წონით შედარებით დაბალი ხარისხის ყურძენზე ცოტა ნაკლებია, წარმოება 70 თეთრზე გაცილებით ძვირად ჩაიბარებს. ამას 35-თეთრიანი სუბსიდირება ემატება როგორც დაბალი, ისე მაღალი ხარისხის ყურძენზე და ესაა მაკსიმუმი, რისი გაცემაზეც სახელმწიფოს შეუძლია. მოსავლის რაოდენობა მნიშვნელოვანდ გაზრდილია, სახელმწიფომ კი ამის ხელშეწყობადად ათობით მილიონი დახარჯა. რაკი დღეს 70 და 85 თეთრზე ვსაუბრობთ, ის დანახარჯებიც გავითვალისწინოთ, რაც სახელმწიფომ მანამდე გასწია და ასე 1 კგ ყურძენი ლარზე გაცილებით მეტიც გამოვა. ამ დროს, გლეხი მხოლოდ იმ თვითა მოგებას ითვისებს, რაც ჯიბეში უნდა ჩაიდოს, მაგრამ არ სთვლის ხარჯს, რაც ბიუჯეტმა გაიღო მისი პროდუქციის გადასარჩენად, ხარისხის ასამაღლებლად და საერთაშორისო ბაზარზე გასატანად. ამიტომ კახელმა გლეხებმა არ უნდა დაგვამანტაჟონ და სიტყვა „გაჩეხვა“ საერთოდ არ უნდა ახსენონ.

— უფრო უარესი თქვენს შემოვლობაზე კახეთს და მიუერთებთ რუსეთს, გაჩნდა ტერმინი „ვაზის რეკოლუცია“...

— ეს მხოლოდ ერთმა თქვა და ეს მისი განწყობაა და არა მთელი კახეთის. ახლა უკვე ნათელი გახდა, რატომ სურთ ნაციონალურს რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტა. ეს კახეთში არსებულ დაძაბულობას ასევე გააუარესებს. ნაციონალური კი პირდაპირ რუსეთის ბაზრის დაკეცვას მოითხოვენ, გლეხებს სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრებისკენ აგულიანებენ. მათ დააქციეს სოფლის მეურნეობა და დღეს ქაოსისა და არეულობის შესაქმნელად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ყველა პროცესს, რთველსა თუ არჩევნებს სათავეში ჩაუდგენ!

### პარსიანიუსი

## ნარკოტიკული და ფსიქოტროპული მედიკამენტების შემოღობვის შედეგად უაქცები გამოავლინეს



მეზაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული მედიკამენტების შემოღობვის შედეგად გამოავლინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფში“ მეზაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე ხელბარგის დათვალეიერებისას სომხეთის მოქალაქე ს.ე.-ს ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი აღწ-ს 112 აბი აღმოუჩინეს. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს II განყოფილებას გადაეცა. ასევე „სარფში“ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქე ე.ო.-ის ბარგში 28 აბი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი რელიცა (75 მგ პრეგაბალინის შემცველობით) აღმოაჩინეს. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს გადაეცა. საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ვალე“ თურქეთის მოქალაქე ე.პ. შემოვიდა, რომლის კუთვნილი ავტომანქანის დათვალეიერებისას, სალონში არსებულ სათავსოში, მეზაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი აღწ-ს 19 აბი — აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ცნობით, აღნიშნული საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს გადაეცა.

„ინტერპრესნიუსი“



# საქართველოსთვის მილიარდ 400-მილიონიანი ბაზარი იხსნება


საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დასრულდა. შეიძლება ითქვას, ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა და რაც მთავარია, ყველაზე დიდ აზიურ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის გაფორმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. რას ნიშნავს მილიარდ 400-მილიონიანი ბაზარი საქართველოსთვის, თავად განსაჯეთ.

„ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან მოვისმინეთ მზაობა და დასტურით, რომ ჩინეთის სურს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის გაფორმება საქართველოსთან. საქართველო იქნება პირველი ქვეყანა მთელ რეგიონში, რომელსაც ექნება თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან. ჩინეთის ბაზარი რას ნიშნავს, ეს შენარჩუნებმა ჩემზე უკეთ იციან. ჩვენს მენარჩუნებს ესხნებათ უზარმაზარი ბაზარი. გავსენით ბაზარი ევროკავშირთან, ვინცერთ თავისუფალ ვაჭრობაზე მუშაობას ჩინეთთან, ჩვენი პრაგმატული და სწორი პოლიტიკის შედეგად რუსეთის ბაზარი ხელახლა გაიხსნა, რაც ასევე ძალიან დიდი შედეგია იყო ჩვენი მოსახლეობისთვის. მთავრობამ მოკლე დროში ყველაფერი გააკეთა, რათა ახალი ბაზრები და შესაძლებლობები შეგვეთავაზებინა ჩვენი მენარჩუნებისთვის. ახლა მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი და ეს შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენონ“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა და იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ჩინეთის ხელისუფლება ისევე, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები, აშშ და ევროპის ქვეყნები, საქართველოს სწორ და პრაგმატულ სამეზობლო პოლიტიკას მიესალმებიან. პრემიერმა წარმატებული და ნაყოფიერი უწოდა ჩინეთის პრემიერ-მინისტრსა და ინვესტორებთან გამართულ შეხვედრებს, რომლებზეც საუბარი კონკრეტულ პროექტებს შეეხო. ირაკლი ლარიბაშვილის ინფორმაციით, დიდი ალბათობით, ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ გიგანტი ჩინური კომპანიები: „შევეხეთ ისეთ სტრატეგიულ პროექტებს, როგორცაა ანაკლიის პორტი, მაგისტრალის მშენებლობა, მათ შორის მილიარდ 300-მილიონიანი პროექტი, რომლის განხორციელებასაც რეკონსტრუქციულ ღირებულებებზე ვეგვიზავთ. ჩინური კომპანიები დაინტერესებული არიან ინვესტირებით. ჩვენი სტრატეგიული ადგილმდებარეობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ეს არის ისტორიული მისია, რომელიც ჩვენს ქვეყანას მუდამ ჰქონდა. საქართველო აღარ უნდა გახდეს ქვეყნებს შორის დაპირისპირების მიზეზი; პირიქით, უნდა იყოს მშვიდობის, კულტურული გაცვლის, ვაჭრობის ქვეყანა და ვფიქრობ, ჩვენი ამბიციური გეგმა წარმატებით ხორციელდება. გვაქვს რეალური პროგრესი“.

იმაზე, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის აღნიშნულ ვიზიტს, გაფორმდება თუ არა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა და რა შედეგით დაბრუნდა სამშობლოში ქართული დელეგაცია, დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქვეციანი, ექსკლუზიურად გვსაუბრება.

— ბატონო დიმიტრი, კონკრეტულად რა სახის ხელშეწყობები გაფორმდა ჩინეთში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში?

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობითა სამთავრობო დელეგაციამ ჩინეთში უმნიშვნელოვანესი ვიზიტი გამართა. შეხვედრით ჩინეთის უმაღლესი პოლიტიკური და ბიზნესსტრუქტურის ხელმძღვანელებს. ასეთი დონის ვიზიტი საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური პირების მონაწილეობით პირველად შედგა. ვიზიტის დროს, საქართველოს მიმართ, ჩინეთის სამთავრობო და საქმიანი წრეების მხრიდან, განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა. ჩინეთის მხარე ჩვენს ქვეყანას განიხილავს, როგორც სანდო პარტნიორსა და მთავარ დასაყრდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში თანამედროვე ახალი ინიციატივის, „ახალი აზიური ვაჭრობის გზა“ — ეკონომიკური სარტყელის“ ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივა ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინს ეკუთვნის. პოლიტიკური განცხადებებიდან რამდენიმე თვეში, ჩინეთის მთავრობამ აზიური ვაჭრობის განვითარების ფონდზე შექმნა, რომლის ბიუჯეტიც 40 მილიარდ აშშ დოლარით განისაზღვრა. ეს თანხა „ახალი აზიური ვაჭრობის გზა“ — ეკონომიკური სარტყელის“ გლობალურ პროექტში ჩართულ სახელმწიფოებში სტრატეგიული ინვესტიციების მიზნად დასაყრდენი გამოიყონ. ვფიქრობ, საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის სტრატეგიული ადგილმდებარეობა, რომელიც ქვეყანას აქვს. ეს არის ისტორიული მისია, რომელიც საქართველოს ყოველთვის



## ქართული დელეგაციის ჩინეთში ვიზიტის შედეგებს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქვეციანი აფასებს

ჰქონდა. აზრს უმის გზის გლობალურ პროექტში მონაწილეობა საქართველოს უნდა დაეხმაროს, განავითაროს ეკონომიკა, ვაჭრობა, დაამყაროს ახალი კავშირები, უკეთ წარმოაჩინოს ტრადიციები, საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი.

ვიზიტის დროს ჩინეთის მხარის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ყურადღება გამახვილდა ისეთ სტრატეგიულ პროექტებზე, როგორცაა ანაკლიის პორტი, მაგისტრალის მშენებლობა. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ ვაჭრობით რეკონსტრუქციულ ღირებულებას მილიარდ სამასმილიონიანი ღირებულების პროექტის განხორციელებას, ასევე სხვადასხვა ინვესტიციაზე, რომლის განხორციელებასაც ჩინური კომპანიები აპირებენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩინეთში ვიზიტისას, როგორც სამთავრობო, ისე ბიზნესსტრუქტურის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თანამედროვე საქართველოს ალბათ ყველაზე მასშტაბურ პროექტს — ანაკლიის ღრმანაპიერების ნავსადგურს, რომლის განხორციელებაც მალე უნდა დაიწყოს. სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიაში ღრმანაპიერების ნავსადგურის მშენებლობის საკითხს. ანაკლიის ნავსადგურს ექნება შემდეგი უპირატესობები: სტრატეგიული მდებარეობა; შესაძლებლობა, მიიღოს დიდი ზომის გემები (მაგ. პანამაქსი); მომსახურების მიღება „ერთი გაჩერების“ პრინციპით; წლის ნებისმიერ პერიოდში უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობა. ამ გარემოებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს აზიური ვაჭრობის განვითარების საქმეში, რადგან აღნიშნული პორტი უნდა მოემსახუროს ჩინეთიდან ევროპისკენ მიმავალ ტვირთებს. ანაკლიის პორტი იქნება უმსხვილესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ანაკლიაში შესაძლებელი იქნება დიდი ტვირთის გემები, რომლებიც გავლენ ევროპის მიმართულეებით. ტვირთის ტრანსპორტირებას ჩინეთიდან ევროპამდე მხოლოდ 20-მდე დღე დასჭირდება. ეს იქნება უმოკლესი მარშრუტი ამ ორ რეგიონს შორის. აღნიშნული უპირატესობის მიუხედავად, ჩვენ გვჭირდება მეტი სტრატეგიული-ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა საქართველოში, რათა შევძლოთ, მოვემსახუროთ გაზრდილ ტვირთბრუნვასა და რეგიონული მნიშვნელობის სავაჭრო, ასევე სტრატეგიულ მისიას ვაჭრებს.

— რა სახის ინვესტიციებს უნდა ველოდეთ ჩინელი ინვესტორებისგან უახლოეს მომავალში?

— საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ ვიზიტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. მაგალითად, ძალიან შინაარსიანი და ნაყოფიერი შეხვედრები გვექონდა ჩინური კომპანიების Zhuhai Da Heng Qin Company Limited, MCC International Incorporation Limited, China Development Bank Inner Mongolia Branch, China Export & Credit Insurance Corporation ხელმძღვანელებთან.

უმნიშვნელოვანესი იყო კორპორაცია „მიცუნიმის“ ტომ-მენეჯერებთან შეხვედრა. ამ კორპორაციის სამუშაო ჯგუფი საქართველოში მოვიხივეთ, რათა ადგილზე შეაფასონ ვითარება და ადგილობრივი ბიზნესგარემოს გაეცნონ. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი ჩინური კომპანია Dalian Locomotive & Rolling Stock Co-სა და ქართულ კომპანია ს/ს „ვაგონმშენებელს“ შორის. მემორანდუმის თანახმად, საქართველოში ასინქრონული ძრავის მქონე ლოკომოტივისა და მისი სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი ქართულ-ჩინური საწარმო აშენდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შეხვედრა უმსხვილესი ამერიკული კომპანია Johnson Controls-ის თავმჯდომარის მოადგილესთან, აზიან-ცნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში დანაყოფის პრეზიდენტ ბედ ბოლზინისთან. ჩვენი საუბრის თემა იყო საქართველოში აღნიშნული კომპანიის სანარმოსა და სადისტრიბუციო ცენტრის გახსნა. ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე, ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა საქართველოში სტაბილური საინვესტიციო გარემო, ბიზნესისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობა, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრები და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

გერმანული მულტინაციონალური კორპორაცია SAP Labs China-ს აღმასრულებელ დირექტორთან, კლას ნომინთან შეხვედრისას, საქართველოში არსებული ბიზნესგარემო განვიხილეთ, გავაცანიე ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროექტები.

— ჩინეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტისას განიხილეთ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების საკითხიც. ამ ქვეყანასთან ამგვარი ურთიერთობის გაფორმებას როგორ შეაფასებთ?

— მთავარი მესიჯი, რითაც საქართველოს დელეგაცია ქვეყანაში დაბრუნდა, ჩინეთის მხარის სრული მზაობაა, დაიწყოს საქართველოსთან მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიმართულებით. ამით საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანა გახდება, რომელსაც ექნება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა. რას ნიშნავს ჩინეთის ბაზარი, ამას განსაკუთრებული კომენტარები არ სჭირდება. ეს არის მილიარდ ოთხასმილიონიანი ბაზარი, ეს არის უზარმაზარი პოტენციალის მქონე ქვეყანა, სადაც ჩვენს მეღვინეებსა და მენარჩუნებს სრულიად ახალი ბაზარი ეხსნება.

ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს, ევროკავშირთან გავაფორმეთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის და გავსენით ბაზარი. კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო ბიზნესმენებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ეს შესაძლებლობა. ახლა ვინცერთ ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მუშაობას, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია.

ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და ძირითად ათეულში მე-4 ადგილზეა. 2015 წლის იანვარ-ივლისში, ექსპორტი წინა წელთან შედარებით 167%-ით გაიზარდა და 90.39 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა. საქსპორტო პროდუქციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლვინის ექსპორტი. ბოლო წლების განმავლობაში, ამ პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვნად იზარდა.

საქართველოსა და ჩინეთის პრემიერ-მინისტრებმა, შეხვედრაზე განიხილეს აღნიშნული ინიციატივა და შეთანხმდნენ, რომ სამუშაო ჯგუფები დაიწყებენ მოლაპარაკებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. თავის მხრივ, შესაძლებლობების შესწავლა უკვე დასრულებულია, რომელმაც შესაძლო მოლაპარაკებების დადებითი მხარეები აჩვენა. ჩვენი მხრივ, ველოდებით ჩვენი საქსპორტო პოტენციალის გაზრდას ჩინეთის მიმართულებით. განსაკუთრებით გამოვყოფდი ლვინის, რომელსაც დიდი საქსპორტო პოტენციალი აქვს. დღეს საქსპორტო მალაია ლვინზე საბაჟო გადასახადი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გააჩნია და ვიმედოვნებთ, საბოლოო მოლაპარაკებების შედეგად, ჩინეთის ბაზარი საქართველოსთვის სრულად გაიხსნება.

## პერსონალი

### იანვარ-აპრილისთვის რუსეთის მიმართულაბით მზაობა ნაკადი 92 პროცენტით გაიზარდა

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს, საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდა და საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთ-ნაკადის მატება დაფიქსირდა. კერძოდ, როგორც ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქვეციანმა განაცხადა, 2015 წლის იანვარ-აპრილისთვის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ 1.501.748 შეადგინა, რაც, მისი განმარტებით, 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას 10%-ით (1.365.213 მგზავრი) აღემატება. გაზრდილია უშუალოდ თბილისიდან რუსეთის მიმართულებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაც. 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის იანვარ-აპრილისთვის აღნიშნული მიმართულებით მგზავრთ-ნაკადი გაიზარდა 92 პროცენტით: „მიმდინარე წლის იანვარ-აპრილისთვის ორი ქვეყნის ავიაკომპანიების მიერ ჯამში 179.602 მგზავრია გადაყვანილი. რაც 84 პროცენტით (81 776 მგზავრით) მეტია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით. უფრო კონკრეტულად, თბილისი-მოსკოვის მიმართულებით რეისებს ოთხი კომპანია ახორციელებს. ყველაზე მეტი მგზავრი — 52 436 გადაყვანილი ჰყავს ქართულ გადაზიდვა-დაზავს — „ჯორჯიან ეარვეის“, მეორე ადგილზეა „ციმბეკის“ ავიახაზები“ 50 516 მგზავრით, მესამეზე კი — „აეროფლოტი“ 47 899 მგზავრით, ყველაზე ნაკლები — 28 751 მგზავრი გადაყვანილი ჰყავს „ტრანსაეროს“. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, სახეზე გვაქვს იმ სწორი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც საქართველოს მთავრობა წლის დასაწყისში აქტიურად უწევდა პროპაგანდას და, რისი გათვალისწინებითაც გარკვეული გადანაცვლებები მიიღო. ამასთან, ქუშისძევილის თქმით, შედეგში აისახა ის კამპანიებიც, რომლებიც მიზნობრივ ბაზრებზე იქნა განხორციელებული. 15 პროცენტით გაიზარდა რუსეთიდან ვიზიტორების რიცხვი და 2015 წლის იანვარ-აპრილისთვის პერიოდში 642 934-ს მიიღწია. ამავე პერიოდში მათი მთლიანი დანახარჯი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში 756 733 318 ლარი იყო. ასევე, რუსეთის გარდა, მგზავრთ-ნაკადის მნიშვნელოვანი, 64-პროცენტითი ზრდა (54 559 მგზავრი) ფიქსირდება არაბეთის გაერთიანებული საამიროების მიმართულებით, 32-პროცენტითი ზრდა (67 474 მგზავრი) ისრაელის მიმართულებით და 21 პროცენტით (33 649 მგზავრი) ყაზახეთის მიმართულებით.



„ინტერპრესნიუსი“



რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით, სამთავრობო დელეგაციის ჩინეთში ვიზიტს? ნიშნავს თუ არა მთავრობის მეთაურისა და დალიანის თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელმძღვანელების შეხვედრა იმას, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები დამყარდება? მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გიგანტური ბაზრის მქონე ჩინურ ინვესტიციებს საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რისკი მაინც არსებობს — თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან ხელს ხომ არ შეუშლის ისედაც დასუსტებული ადგილობრივი წარმოების განვითარებას?

## ემბარ ჯგერენაია: „უნდა ვეცადოთ, დავიცვათ ადგილობრივი წარმოება“

### „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ქუთაისში

ამ ეტაპზე უცნობია, რამდენად რეალურია ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დანერგვა, რადგან შესაბამისი ოფიციალური ხელშეკრულება ან მემორანდუმი არ არსებობს, თუმცა ფაქტია, ირაკლი ლარიბაშვილმა ამ ტიპის ურთიერთობის დასაწყებად საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგა, საბოლოო შედეგი კი ორ ქვეყანას შორის გრძელვადიან მოლაპარაკებებს მოჰყვება. თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დასაწყებად, პირველი აგური მაინც ჩინურმა კომპანია „ჰუალინგ ჯგუფმა“ დადო, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოაწყო.

ქუთაისში, 35.92 ჰექტარზე, „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განთავსებული, რომელიც ჩინურმა კომპანიამ „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მოაწყო. ოფიციალური ინფორმაციით, 5 წლის განმავლობაში „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიცია 31 170 000 აშშ დოლარია. ინდუსტრიულ ზონაში „ჰუალინგ ჯგუფმა“ უკვე შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხის გადამამუშავებელი ავეჯის დამამზადებელი საწარმოები, რომლებიც წარმოებენ მუშაობენ. ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ექსპორტი კი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ხორციელდება.

48 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე, „ჰუალინგ ჯგუფმა“ 20-წლიანი ლიცენზია მოიპოვა, რომლის საფუძველზე, კომპანიას 2 400 000 კუბური მეტრი სამშენებლო ქვის მოპოვების უფლება აქვს. ლიცენზიის შედეგად მოპოვებული ბუნებრივ რესურსს კი კომპანია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებულ ქვის გადამამუშავებელ ქარხანაში ამუშავებს. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ქარხანაში „ჰუალინგ ჯგუფმა“ 400 000 აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა დაამონტაჟა.

ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის გადამამუშავების მიზნით, „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მონივრულ ტექნოლოგიების დანერგვით, ასევე მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებითა და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგის ხელშეწყობით უნდა განვითარდეს. იმისთვის, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დატვირთვა გაიზარდოს, „ჰუალინგ ჯგუფის“ მიზანია, მეტი უცხოელი ინვესტორი მოიზიდოს, რაც ადგილობრივთა დასაქმების მაჩვენებელსაც გაზრდის.

### ჩინური ვიზიტის ეკონომიკური უწყაობი

რას მოუტანს საქართველოს ეკონომიკას მთავრობის დელეგაციის ჩინეთში ვიზიტი? რეალურად რა სახის ჩინურ ინვესტიციებს უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში და ბიზნესის რომელ დარგში? „ვერსიას“ ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი იმზარ ჯბარბანიძე ესაუბრება.

— პირველი იმპარტულია, რომელზეც მთავრობამ უნდა იმუშაოს, ე.წ. „ახალი მსოფლიო ბანკის ინსტიტუტი“, რომელიც პეკინში შეიქმნა. ცნობილია, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მმართველობის სტრუქტურებში ჩინელები არ მონაწილეობენ, რადგან სავალუტო ფონდში ევროპელები, მსოფლიო ბანკში კი ამერიკელები არიან წარმოდგენილი. ჩინეთი დიდი ხანია აცხადებს, რომ ამ მხრივ „დაჩაგრული“ და ორივე სტრუქტურაში მმართველობის კვტების გადანაწილება უნდოდა, მაგრამ უშედეგოდ. შესაბამისად, პეკინში „მსოფლიო ბანკის“ მსგავსი ახალი სტრუქტურა შეიქმნეს. საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტი მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიო ბანკის, სსფ-სა და ჩინეთში შექმნილი ახალი ინსტიტუტის მსგავსი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა გვეჭირდება. ორი წელია საქართველოს დიდი ტრანში არ მიუღია, რის გამოც სავალუტო ნაკადების პრობლემები გვაქვს. ლარის სიმყარის შესანარჩუნებლადაც ერთ-ერთი გზა სწორედ დიდი ტრანშები და ფინანსური ნაკადია. ინვესტიციებისა და ტრანშების მოძიება გაჭირდა და ამიტომ მთავრობამ კურსი სწორედ ჩინეთისკენ აიღო, რაც გამართლებული ნაბიჯია. არსებობს ინვესტირების ევროპულ-ამერიკული, რუსული (დსთ), არაბული და ჩინურ-აზიური წყაროები. რუსეთში ეკონომიკური რეცესიაა, ყაზახეთში — სერიოზული

# ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა ქართველ მენარბებს პრობლემებს შეუქმნის?!



ფინანსური პრობლემები, რასაც იქაური ეროვნული ვალუტის, ტენგის დეველვაცია მოჰყვება, უკრაინაში რა ხდება, კარგად იცით... ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებიდან ინვესტიციები ჭირს. ევროპა თვითონაც რეცესიაშია, რის გამოც საკმაოდ რთულ ეკონომიკურ ვითარებაშია. შემდგომ მოდის არაბეთი, რომელმაც გარკვეული მოძრაობა დაიწყო საქართველოში, მაგრამ არაბული ინვესტიცია რამდენიმე სასტუმროს დაფინანსებას არ გასცდენია და რეალურად, ჩინურ-აზიური ნაწილი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი დაეცა, ეს ქვეყანა ცდილობს, ექსპორტზე ორიენტირებული მონოქვეყნის იმიჯი შეიცვალოს და კაპიტალის ექსპორტზე, ასევე შიდა მოხმარებისა და შიდა ბაზრის ზრდაზე გადავიდეს. მისთვის კავკასია ახლ ევროპის სამხრეთ ნაწილი საკმაოდ საინტერესოა. ჩვენი დელეგაციის ვიზიტი ამ მხრივაც მნიშვნელოვანია, რადგან ჩინეთი რეალურად მზადაა, საქართველოში ინვესტიციები განახორციელოს. ამის ნათელი მაგალითია „ოლიმპიური სოფლის“, რკინიგზისა და ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოში.

### — კონკრეტულად ეკონომიკის რომელ სფეროში და რა სახის ინვესტიციებს უნდა ველოდეთ ჩინეთიდან?

— პირველი რიგში, ესაა სრულიად ახალი თბომავალმშენებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც უმსხვილესი პროექტია და რომელზეც დიდი ხანია მიდის მუშაობა. არ იფიქროთ, თბილისში არსებული ვაგონმშენებელი ქარხნის რეორგანიზაციაზე საუბარი, რომელიც რუსებს ეკუთვნის. ვგულისხმობ სრულად ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ქარხანას, რომელსაც თბილისში ჩინეთი ააშენებს. ამ ტიპის ქარხნები ადრე თბილისშიც იყო, ნოვოჩერკასკშიც და რუსეთის სხვა ქალაქებშიც, მაგრამ დიდი ხანია დსთ-ს ქარხნები მწყობრიდან გამოვიდა. შესაბამისად, ჩინელები დაინტერესდნენ, ახალი ქარხანა ააშენონ და როგორც ვიცი, ეს 100-მილიონიანი პროექტი იქნება. მეორე დიდი პროექტია ანაკლიის ღრმანსვლოვანი პორტის მშენებლობა. სხვათა შორის, ტრანსპორტის ლოგისტიკის მიმართულებით, დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა, რადგან ტვირთების მოცულობა დღითიდღე მცირდება. მიუხედავად ამისა, სამომავლო ნაბიჯების გადასადგმელად, საკმაოდ მნიშვნელოვანია უზარმაზარი პორტის მშენებლობა ანაკლიაში, რომელიც პირდაპირ რომ გითხრათ, პოლიტიკური მნიშვნელობის მეგაპროექტად ითვლება. გავრცელებული ინფორმაციით, ანაკლიის პორტი წელიწადში 100 მილიონ ტონა ტვირთს მოემსახურება, მაგრამ ეს ციფრი გადაჭარბებულია. მსოფლიოში ცნობილი ანტერპენის (ბელგია) პორტიც კი ვერ ემსახურება წელიწადში 100 მილიონ ტონა ტვირთს, მხოლოდ 60 მილიონ ტონაზეა გათვლილი. თუმცა თუ ჩინეთი, რომელიც შავი ზღვის აკვატორიაში საკუთარ საბაზო პორტს ეძებს და ამ შემთხვევაში, ყურადღებას ანაკლიაზე შეაჩერებს, რომელიც თუნდაც 15 მილიონ ტონა ტვირთს მოემსახურება წელიწადში, დამიჯრეთ, ესეც დიდი გამარჯვება იქნება. თუმცა აქ ერთი პრობლემაა, ანაკლიის პორტი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული ქართული პორტების კონკურენცია არ უნდა გახდეს, რადგან ამ შემთხვევაში, ფოთის, ყულუგისა და ბათუმის პორტების ღირებულება დაიკლებს. ის კი არაა მნიშვნელოვანი, ჩინელებმა წყალგამყოფები, ნავმისადგომები და საწყობები ააშენონ ანაკლიაში, მთავარია, ეს პორტი საკუთარი ტვირთების ბაზად აქციონ. არაბებმაც იყიდეს ფოთის პორტი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორია, მაგრამ რეალურად არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ რამდენიმე საწყობი დადგეს.

### — ანაკლიის პორტის მშენებლობის შემთხვევაშიც იგივე საფრთხე ხომ არ შეიქმნება, რაც წლების წინ, არაბების მიერ ფოთის პორტის შექმნას მოჰყვა?

— რა თქმა უნდა, ასეთი საშიშროება არსებობს. თავდაპირველად, ფოთის პორტში დუბაის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მენეჯმენტი აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომელსაც ფოთში თავისუფალი სავაჭრო ზონა უნდა მოეწყო, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა და ნაკლებად ცნობილი „რაკია ჯგუფი“ შემოვიდა, რომელსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ ჰქონდა. რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა იმის გარდა, რომ მის მშენებლობაზე საქართველო ორ სუბიექტთან — ამერიკელებსა და ჩინელებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, მაგრამ ფოთის

პორტის გამოცდილება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. მთავარი ის არის, ანაკლიაში ტვირთები მოვიზიდოთ. საერთოდ, ინვესტორმა თვითონ უნდა გათვალისწინოს ინვესტიციის ეფექტურობა და სწორი ბიზნესგეგმა შეადგინოს. ფოთის პორტის შემთხვევაში, ეს არ გაკეთებულა, არაბებს მხოლოდ ტერიტორია გადასცეს. თუ რეალურად, ტვირთი არ შემოვიდა და ანაკლიის პორტი ჩინეთის ბაზად არ იქცევა, ხელში „მკვდარდობილი“ შენობა“ შეგვრჩება, რომელიც ზარალის გარდა, ეკონომიკურ სიკეთეს ნამდვილად არ მოგვიტანს.

### — ბრძანეთ, რომ ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შემცირდა და ქვეყანა რეცესიის წინაშეა. ფაქტია, ეს კრიზისი ჩინეთის ეკონომიკას არ ჩამოშლის, მაგრამ ეკონომიკური პრობლემების გარდა, ჩინეთის მმართველ კომუნისტურ პარტიაშიც განხეთქილებაა... პოლიტიკური პრობლემების მქონე ქვეყანა მზადაა, ინვესტიციები და ტრანშები საქართველოში განახორციელოს?

— უკვე გითხარით, ჩინეთს არ სურს, მხოლოდ იაფი საქონლის ექსპორტიორი ქვეყანა იყოს. რაც ბრძანეთ, აბსოლუტურად სწორია და ჩვენი ქვეყნის შესაბამისმა ინსტიტუტებმა მუდმივი, პერმანენტული მონიტორინგი უნდა განახორციელონ. მსოფლიო ეკონომიკის პულსაცა ჩინეთიდან მოდის, მაგრამ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ ადგილობრივი წარმოება და ჩვენი მენარბები. ორივე შემთხვევაში, ყოველნაირი მონიტორინგი და იმ მოვლენების ანალიზი აუცილებელია, თუ რა ხდება ან რა შეიძლება მოხდეს ჩინეთში. ეკონომიკასა და პოლიტიკაში დარწმუნება არ შეიძლება, მაგრამ ერთჯერადი ვიზიტი ნამდვილად არ არის საკმარისი, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამას მუდმივი მუშაობა სჭირდება და ამის მაგალითია „აბრუშუმის გზის“ ფორუმი, რომელიც საქართველოში გაიმართება. მთავრობის დელეგაციის ერთჯერად ვიზიტს ჩინეთში, მეორე დღესვე საქართველოში ტრანშების ნაკადების გადმოსროლა არ მოჰყვება, ამას სკრუპულოზური და ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება.

### — ირაკლი ლარიბაშვილი დალიანის თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელმძღვანელობას შეხვდა. საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობა დაიწყება?

— დაიწყოებული იყო, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტი ჯერ არ მინახავს. ეს რთული საკითხია, რადგან ერთი მხრივ, მსოფლიოში ყველას ოცნებაა, რომ ჩინეთის გიგანტურ ბაზარზე შეაღწიოს, რომელიც მილიარდ 600 მილიონიანია. ეს ისეთი მოცულობაა, რომ ნებისმიერი მენარბე ოცნებობს, ასანთის ღერის მეთაფი ნაწილი მაინც შეიტანოს ამ ქვეყანაში. მეორე მხრივ, ქართული ბიზნესისთვის ეს საკმაოდ დიდი გამოწვევაა, რადგან კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გავლენის ქვეშ მყოფი თავისუფალი ბაზრის ელემენტებია, დაბალი ფასებითა და ფიქსირებული ხარჯებით, ჩინური პროდუქცია უკუკურენცია. ამიტომ დასაფიქრებელია, რამდენად შეექმნებათ ჩვენს მენარბებს პრობლემები კონკურენციის მხრივ. ამას გარდა, ჩინური საქონელი საკმაოდ ფართოდა წარმოდგენილი საქართველოში. რაც გვაქვს, ყველაფერს MADE IN CHINA აწერია, საქართველოს ბაზარი მათთვის თითქმის ღიაა. აქედან გამომდინარე, დიდ საშიშროებასაც არ უნდა ველოდეთ...

### — ამის მიუხედავად, ჩინური იაფფასიანი პროდუქცია საქართველოს შიდა ბაზარს ნალეკავს და ადგილობრივ წარმოებას შეაფერხებს, არა?

— აუცილებლად, რადგან ნებისმიერ თანაბარ სიტუაციაში, ჩინურ სანარმოს, რომელსაც წარმოების უზარმაზარი მოცულობა აქვს და რომლისთვისაც ფიქსირებული ხარჯებიც საკმაოდ დაბალია, ყოველთვის აჯობებს ფასით ქართველ მენარბებს. რაც უნდა კარგი და ულტრათანამედროვე საწარმო გააკეთოთ, როგორი სრულყოფილი ტექნოლოგიაც უნდა დანერგოთ, ჩინურ წარმოებას კონკურენცია ვერ გაუწევთ! ბევრ შემთხვევაში, ჩინური წარმოება სახელმწიფო მიერ დოტაციაშია და ამ დეტალების გათვალისწინება ქართველი მენარბებისთვის აუცილებელია. მართალია, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება არ გაფორმებულა, მაგრამ მთავრობამ უნდა იფიქროს, როგორ დაიცავს ქართული წარმოება და პროდუქცია. საჭირობოროტო მაგალითსაც გეტყვი: 100 ქართველი მცირე მენარბე ჩადიოდა ჩინეთში, რაღაცას ყიდულობდნენ და საქართველოში ყიდდნენ, რასაც მცირე ბიზნესის ფორმა ჰქონდა. რამდენიმე წლის შემდეგ, ერთი ჩინელი მილიონერი ჩამოვიდა, ვაზისუბანში საწყობი გახსნა, დიდი ოდენობით პროდუქცია შემოიტანა და 100 მცირე მენარბე „მოკლა“, თუმცა ეს ყველაფერი აბსოლუტურად კანონიერად განახორციელა. აქედან გამომდინარე, მუშა-ხელის ექსპორტი იქნება თუ ტექნოლოგიების, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, დავიცვათ ადგილობრივი წარმოება დღესაც, როდესაც ეს ხელშეკრულება ხელმოწერილი არ არის და მერეც, როცა ამ ტიპის ურთიერთობა ოფიციალურად დაკანონდება. ერთი წელი გვატარეთ DCFTA-ს გარემოში და აღმოჩნდა, რომ ქართულ ყველს ევროპაში ვერ შევიტანთ. ადრე მხოლოდ ნიორზე იყო შეზღუდვა. ახლ, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება კი არა, პრობლემას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკა და უშუალოდ მენარბები აგვარებენ.

### — ამერიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება არსებობს?

— არა და ეს აბსოლუტური ბლევი იყო, რადგან ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს! ამ თემაზე მხოლოდ მოლაპარაკებები იმართებოდა. როგორც ვიცი, ამერიკელებმა დაინაგარიშეს და დაადგინეს, რომ საქართველოს ექსპორტი ამერიკაში არ არის და ასეთი ურთიერთობით ისინი მოგებას ვერ მიიღებდნენ. ჩინური საქონლის ექსპორტი საქართველოში აკმაოდ დიდია. ჩინეთი, როგორც სავაჭრო პარტნიორი, მესამე ადგილზე გადავიდა და თუ რამდენიმე ბოთლ ქართულ ღვინოს არ ჩავთვლით, ჩვენი ექსპორტი ჩინეთში თითქმის ნულია!







# უკრაინის ოლიგარქები სააკაშვილს „დაძინებით“ ემუქრებიან

## ვინ, რაჯომ უპირისპირდება საქართველოს ექსპრეზიდენტს და რაჯომ პროგნოზირებენ მის გაპრემიერებას უკრაინაში



ლაშა დვალის ფოტო

ბოლო დროს, უკრაინული მედია აქტიურად ალაპარაკდა იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრად, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი დაინიშნოს. ამგვარ პროგნოზს უკრაინის ტელევიზორული განცხადებების საფუძველზე აკეთებენ, რომელსაც სააკაშვილი მოქმედი პრემიერის, არსენ იაცენიუკის მისამართით აკეთებს. ვითარება ისე გამწვავდა, საქმეში ქვეყნის პრეზიდენტი, პეტრო პოროშენკოც ჩაერთო: **„ეს არის უკმაყოფილების გამოხატვა იმ რეფორმების მიმართ, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს უკმაყოფილება აქვს ხალხს, ეს უკმაყოფილება მაქვს მეც, როგორც პრეზიდენტი და ამის შესახებ საჯაროდ განვაცხადე უმაღლეს რადაში მიმართვის დროსაც. ეს უკმაყოფილება პრემიერ-მინისტრს და ოდესის გუბერნატორ სააკაშვილსაც აქვთ. პრემიერ-მინისტრს და მიხეილ სააკაშვილს შორის პირადი კონფლიქტი არ არსებობს.“**

თავის მხრივ სააკაშვილმა ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხს განუცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი გადამწყვეტილებებს იღებს არა უკრაინელი ხალხის, არამედ ადგილობრივი ოლიგარქების, კერძოდ კი, იგორ კოლომოისკისა და რენატ ახმეტოვის სასარგებლოდ. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ სააკაშვილსა და უკრაინის პრემიერ იაცენიუკს შორის კონფლიქტი ოდესის პორტისა და საბაჟოში არსებული ქსელების გამო დაიწყო. მართალია, აქტიური ბრძოლის შემდეგ პორტის ერთი ნაწილი მას დაუთმეს, მაგრამ მოგვიანებით უკრაინის

შესაბამისმა სამსახურმა საბაჟოზე ტარიფები გაზარდა, ამიტომ ტვირთების უმეტესობამ დნეპროპეტროვსკისა და კიევის საბაჟოებზე გადაინაცვლა, სადაც ტარიფები ოდესასთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილს შემოსავლის პოტენციური წყაროები გამოაცალეს. სწორედ ამიტომ ის ვა-ბანკზე წავიდა და უკრაინის მოქმედი პრემიერს აშკარად დაუპირისპირდა. მათივე აზრით, სააკაშვილი გარანტირებული შემოსავლებისთვის იბრძვის, რომელიც ოდესის პორტში წელიწადში 2-3 მილიარდს აჭარბებს. არადა, იაცენიუკი უკრაინის სახალხო ფრონტის ლიდერია, რომელიც პოროშენკოს კოალიციის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს. ამიტომ, ძალიან საეჭვოა, სააკაშვილმა იაცენიუკის დამარცხება შეძლოს, თუმცა ოდესის პორტზე შეთანხმებას, სავარაუდოდ, მიაღწევს, თუმცა...

საინტერესოა, ვინ არიან ის ოლიგარქები, რომელთა წინააღმდეგაც სააკაშვილმა გაილაშქრა. რინატ ახმეტოვით დაიწყოთ... უკრაინის „პარტია რეგიონების“ ერთ-ერთი ლიდერი, საფეხბურთო კლუბ დონეცკის „შახტარის“ პრეზიდენტი, უკრაინის რადის დეპუტატი, „დონეცკური კლანის“ არაფორმალური ლიდერი და მილიარდერი რინატ ახმეტოვი საზოგადოებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც აქტიურად ჩაერთო უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის სახელს უკავშირდება ვიქტორ იანუკოვიჩის საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსება. ასევე ის იყო ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პოლონეთთან ერთად თანამასპინძლობის ერთ-ერთი ინიციატორი. „ფორბსის“ 2009 წლის მსოფლიო მილიარდერების რეიტინგში უკრაინელ ოლიგარქს, 1,8 მილიარდი დოლარით, 397-ე ადგილი უკავია და უკრაინელ მილიარდერებს შორის ის მეორეა ვიქტორ პინჩუკის შემდეგ.

რინატ ლეონიდის-ძე ახმეტოვი, 1966 წელს, დონეცკში, ყირიმელი თათრების ოჯახში დაიბადა. მამამისი მეშახტედ მუშაობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ახმეტოვმა დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში დაამთავრა. არსებობს ვერსია, რომ კარიერის დასაწყისში ახმეტოვი ბანკის პროფესიონალი მოთამაშე იყო ე. წ. კაჭალა, რომელიც მოსკოვში „გასტროლების“ დროს, დღეში 20-30 ათას საბჭოთა რუბლს იგებდა. 1988 წელს ახმეტოვი დონეცკის ოლქში ძვირფასი ბუნებრივებითა და ტყავით მოვაჭრე ვინმე ლისენკოზე თავდასხმის საქმეში ფიგურირებდა. ძიების მასალების თანახმად, ხუთი ადამიანისგან შემდგარი ბანდი, რომელთა შორის მილიციელების ფორმაში გადაცმული ძმები — რინატ და იგორ ახმეტოვები იყვნენ, თავს დაესხა ლისენკოს. მათ აწამეს ის, გამოსძალეს 50



ათასი რუბლი და შემდეგ მოკლეს. საქმე გაურკვეველ ვითარებაში დაიხურა.

80-იანი წლების ბოლოს ახმეტოვი დონეცკის მაღაზიაში ექსპედიტორად მუშაობდა. მაღაზიის დირექტორი ახატ ბრაგინი, სამართალდამცავი ორგანოებისთვის კარგად ცნობილი სახე, მეტსახელებით: ალიკ გრევი ან ალექსანდრ სერგევიჩ ბრაგინი — დონეცკელი მეწარმე, ფორმა „ლიუქსის“ დამფუძნებელი, საფეხბურთო კლუბ დონეცკის „შახტარის“ პრეზიდენტი და გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი იყო. ბრაგინის მაღაზია დონეცკის საცალო-საბითუმო სავაჭრო ბაზა „უკრეტექსტილტორგის“ სტრუქტურაში შედიოდა. დეფიციტური საქონელი ბაზიდან ფასის დამატებით ბრაგინის მაღაზიაში იგზავნებოდა, მაგრამ ვიტრინებიდან მხოლოდ საქონლის მცირე რაოდენობა იყიდებოდა, დანარჩენი „სპეკულანტების“ ხელით დონეცკის სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში სალდებოდა. ამ „სპეკულანტებთან“ ურთიერთობას კურირებდა ახმეტოვი. 90-იანი წლების დასაწყისში ახმეტოვმა ლეგალურ ბიზნესს მოჰკიდა ხელი და დონეცკის საქალაქო ბანკის „დონეგობანკის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მფლობელი გახდა. უკრაინის ყველაზე ახალგაზრდა ბანკირის ბანკი დონეცკის რეგიონის სამეწარმეო ობიექტების აქციების ძირითადი მფლობელი იყო. იმავე პერიოდში გავრცელებული ვერსიის თანახმად ახმეტოვი ბრაგინის „ბოევიკების“ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

1995 წლის შემოდგომაზე ალიკ ბრაგინი და კიდევ რამდენიმე კრიმინალური ავტორიტეტი სტადიონზე, საფეხბურთო მატჩის დროს ააფეთქეს, რის შემდეგაც ახმეტოვი მისი საქმეების გამგრძელბელი და არაოფიციალური მემკვიდრე გახდა. სხვათა შორის, დღემდე ამბობენ, რომ ის აფეთქება ახმეტოვის მოწყობილი იყო, სკამი, რომელზეც ბრაგინი იჯდა, ტროტილისგან იყო დამზადებული და შეღებული.

1997 წელს ახმეტოვის უშუალო ჩარევის შედეგად დონეცკის ოლქის გუბერნატორად სერგეი პოლიაკოვის ნაცვლად, მისი პირველი მოადგილე ვიქტორ იანუკოვიჩი დაინიშნა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მათი თანამშრომლობა როგორც ბიზნესში ისე პოლიტიკაში. იმ პერიოდში ახმეტოვი აქტიურად არ ერეოდა პოლიტიკაში და მისი ინტერესების ძირითადი თემა „შახტარი“ და ფეხბურთი იყო. 1999 წელს იანუკოვიჩისა და ახმეტოვის ტანდემმა დიდი როლი შეასრულა ლეონიდ კუჩმა გაპრეზიდენტებაში. 2000 წელს ახმეტოვმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გააერთიანა თავისი ბიზნესი ერთ ფინანსურ იმპერიად და დაარეგისტრირა კომპანია „სისტემ კეპიტალ მენეჯმენტი“, რომლის აქციების 90 პროცენტის მფლობელი თვითონ, ხოლო 10 პროცენტის — მისი მეუღლე ლილია სმირნოვა გახდა. ბოლო მონაცემებით ახმეტოვის კუთვნილი კომპანია აკონტროლებს 90-მდე სამეწარმეო ობიექტს. ახმეტოვის კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა კი 160 ათასი ადამიანია.

ამის შემდეგ ახმეტოვმა იანუკოვიჩი ქვეყნის პრეზიდენტად გახადა და უკრაინაში ყველაზე გავლენიან ადამიანად იქცა.

რაც შეეხება იგორ კოლომოისკის, ის ახმეტოვის უახლოესი მეგობარი და დნეპროპეტროვსკის ყოფილი გუბერნატორი გახლავთ. ახმეტოვისგან განსხვავებით, კოლომოისკიმ დღემდე არ ისურვა და საქართველოს ექსპრეზიდენტი ძალს შეადარა: **„როდესაც უალიკაპო ძალის ვილაცას კბენს, საჭიროა ძალის დასჯაც და პატრონისაც. ასეთ ცხოველებს, მსგავს შემთხვევაში, აძინებენ ხოლმე. მოვუწოდებ ქვეყნის პრეზიდენტს, სააკაშვილი საქართველოში გაუშვას, რათა იქ დაკენილი ხალხისთვის პასუხი აგოს. რაც შეეხება პატრონს, ჩვენ გვესმის, ვინ არის ის. სააკაშვილმა პასუხი სასამართლოს გზით და ფულით უნდა აგოს და ძალიან მინდა, მან ნარკოლოგიური შემონემა გაიაროს. დარწმუნებული ვარ, პასუხი დადებითი იქნება, თუ არა და პასუხს ჩემს სიტყვებზე თავად ვაგებ.“**

ყურნალის ტემბა და ექსპერტებმა კოლომოისკის სიტყვები პირდაპირ მუქარად აღიქვეს, რადგან „ძალის დაძინების“ რჩევის უკან, სხვა რამ დაინახეს. მისი გათვალისწინებით, როგორი ბეგრაუნდი აქვს ახმეტოვს და კოლომოისკის, მუქარა ყურადსაღები უნდა იყოს.

### პერსონალი

#### შსს-ს თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა მეორე სამმართველოს, საპატრულო პოლიციის და დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა აქციის „გაიღეს სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ ფარგლებში, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში უკვე მესამე წელია მონაწილეობს. სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომლები, „სისხლის ბანკის“ დახმარებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

სისხლის ჩაბარების აქცია პერმანენტულად იმართება დედაქალაქში და საქართველოს ყველა რეგიონში. მასში სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს. სამინისტროს მიზანია, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.



„ვერსიანიუსი“

#### რეზო ჭეიშვილი ქუთაისში დაკრძალეს

15 სექტემბერს, ქუთაისში, მწერალი რეზო ჭეიშვილი დაკრძალეს. დაკრძალვას კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ქუთაისის მერი შოთა მურღულია და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. პატივის მისაგებად ქუთაისში ჩავიდნენ ქართველი მწერლები, მსახიობები, კინორეჟისორები და საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები.

რეზო ჭეიშვილი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრიდან გამოასვენეს და, ანდერძის თანახმად, ქუთაისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

დაკრძალვის ხარჯები მთლიანად ქუთაისის მერიამ დაფარა. რეზო ჭეიშვილის დაკრძალვას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო. ბიძინა ივანიშვილის თქმით, დაკრძალვას მისი ოჯახის წევრებიც დაესწრნენ.



საქართველომ ქართული სიტყვის ოსტატი დაკარგა და ქართულმა მწერლობამ, კინომ უდიდესი დანაკლისი განიცადა. „ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.





# გზა და სახელმწიფო

ლევან საფინსკვირაძე

საქართველოში პირველი დიდი და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი მე-19 საუკუნეში განხორციელდა, როდესაც თბილისიდან ფოთამდე სარკინიგზო ხაზი გაიყვანეს და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო პირველად ისტორიაში ერთმანეთს რკინიგზით დაუკავშირდა. თუმცა, მაშინ საქართველოს სულაც არ ერქვა საქართველო და, ჩვენდა გულის გასახელებად, ორი გუბერნიის სახით ვიყავით შესული უზარმაზარ და საზარელ იმპერიაში.

მანამდე იყო ფოთის პორტის მშენებლობა. ამის შემდეგ კი, უკვე მეოცე საუკუნეში, რკინიგზის ქსელის გაფართოებამ და საავტომობილო გზებით ქვეყნის დაქსელებამ სულ სხვანაირი ბიძგი მისცა საქართველოს კუთხეებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ერთმანეთთან დაკავშირებას. არაფერია დაფარული იმ ამბავში, რომ 200 წლის წინ საქართველოში მცხოვრები ადამიანების უმეტესობამ საერთოდ არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყნის სხვა ნაწილში და ისიც ფაქტია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველა დასავლელს იმერელად მოიხსენებდნენ.

როდესაც გზები გაიტყვნა და ქვეყანაში გადაადგილება ადვილი გახდა, საქართველოს დიდ ქალაქებში მოსახლეობამ საგრძნობლად მოიმატა. ეს ხდებოდა სოფლების დაცლისა და მთიანი რეგიონების გაუკაცრიელების ხარჯზე, მაგრამ თავიდან ერთობ ბუნებრივი პროცესი იყო და სახელმწიფოს ჩარევის გარეშეც ადამიანები თვითონ წყვეტდნენ, სად ეცხოვრათ და რა ეკეთებინათ. მხოლოდ შემდეგ, უკვე საბჭოთა კავშირის არსებობის შუაწელში, სახელმწიფომ ინდუსტრიულ ქალაქებში მუშახელის მოსაზიდად დაიწყო პროპაგანდა, რათა სოფლებიდან ხალხი დიდ ქარხნებში სამუშაოდ ჩასულიყო და ამათ ისედაც დაცარიელებული მთიანი მხარეები საერთოდ გაუკაცრიელა.

შემდეგ კომუნისტები მიხვდნენ საკუთარ შეცდომას და საპირისპირო პროპაგანდა დაიწყეს – ყველა მთას დაუბრუნდესო. რასაკვირველია, თუკი სახელმწიფომ ძალა არ იხმარა, არავინ დატოვებს ქალაქში ბევრად კომფორტულ სახლს მაშინ, როდესაც კარგად იცის, რომ სოფელში დაუფასებელი ჯაფის მეტი არაფერი ელის.

რომ არა საგზაო და ზოგადად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ამის თანმდევად, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება, შეიძლება სულ სხვანაირი და ბევრად უარესი ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა. დაახლოებების შედეგი, გაგიკვირდებათ და, განსაკუთრებით ქართულ კულინარიაში გამოჩნდა, როდესაც დღეს, მაგალითად, კახეთში დიასახლისი საახალწლო სუფრაზე, ტრადიციულ კახურ კერძებთან ერთად, ასევე შემოგთავაზებთ მეგრულ საცივს, იმერულ კუპატს, რაჭულ ლობიანსა და მთიულურ ქადას. ადრე კი იგივე კახეთში თაობებს უბრალოდ არც კი გავივით საცივის არსებობა.

სწორედ ამიტომ დღეს, როდესაც საქართველოს ცენტრალურ ავტობანზე, ქარელის მონაკვეთს გასცდები და დაინახავ, რომ მშენებლები კვლავ აგარის დანავსულ ადგილას ტრიალებენ, შეუძლებელია, გული არ გადაგეწუროს და არ განაწყენდე იმის გამო, რომ ავტობანის მშენებლობის ტემპი ძალიანაა შეფერხებული და გზის თუნდაც ხაშურამდე ჩაღწევა წყმმარტივად ქართულ ოცნებად გვექცა. ეს ის გზაა, რომელმაც იდეაში ჯერ რიკოთის უღელტეხილი უნდა გადაკვეთოს, შემდეგ გაიაროს იმერეთი, მერე დაადგეს კოლხეთის დაბლობს და ბოლოს აფხაზეთამდე ჩავიდეს. ჩვენი ქვეყნის განვითარების დონე და ხარისხი ალბათ სწორედ ამ გზით განისაზღვრება. ასეთი ტემპით კი ყველანი ვხედავთ, რომ აფხაზეთამდე ძალიან შორია.

# 30-მდე ოჯახს ბაისურას მთიდან გასახლება უპირებენ

## „ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ აქ. თუ მომკლავენ, თორემ ისე აქედან ვერსად წავაღ“



გიორგი სირაძე „პარსიანის“ გურიიდან

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კურორტ ბახმაროსთან ახლოს, ბაისურას მთაზე მცხოვრებ ოჯახებს საცხოვრებელი სახლისა და პირუტყვის სადგომების მოშლა, სასოფლო-სამეურნეო მიწის ირგვლივ ლობების მონგრევა დაევალიათ. ამ მთაზე ოზურგეთის, ხულოს, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან 29 ოჯახი უკვე საუკუნეზე მეტია ცხოვრობს. „ვერსია“ ბაისურას მცხოვრებლებს ესაუბრა, რომლებიც აცხადებენ, რომ ადგილს არ დატოვებენ.

**ნოზარეან ტაყიძე:** „101 წლის მოკვდა ბაბუაჩემი, ჯემალ ტაყიძე. იმას დაგვავიდა აქ, მთაში. გაითვალისწინეთ, რამდენი წელია აქ ვცხოვრობ. ვილაც კობალავა მოვიდა და მეუბნება, აქედან აიბარგე, ეს ადგილი ვიყიდევო. რისთვის იყიდა, რაიმე სანარმოს აკეთებს? თუ ასეა, კი ბატონო. სააკაშვილის დროს, 2009 წელს, მოვიდა და მომთხოვა ფული, მე შევისყიდე და 500 ლარი გადამიხადე ყოველწლიურად. საიდან უნდა გადამეხადა 500 ლარი?! ან რატომ?! უნდოდა, ჯიბეში ხელჩანყობილს გაეკეთებინა ფული. მაგან არ იცის საქონელი თავით ებმება თუ კუდი. განცხადება რომ დაგენერეთ, გაჩერდა. მერე 2010 წელსაც მოვიდა. სიძე მოჰყვა, ფული უნდა ავიხკოო. 1000 ლარი მოგვთხოვა. ისევე გავაპროტესტეთ. სააკაშვილმა გაიგო და გაჩერდა. მოვიდა ახალი მთავრობა, გააკეთა ამ კობალავამ საბუთი, ეს ფართობები შევისყიდევო. სასამართლოშიც ვიდავეთ. კობა ტყუილად გვართმევს ფულს. საუკუნეზე მეტია გასული, აქ ვცხოვრობთ“.

**შურმან ტაყიძე:** „კობალავას ფულს არ გადაუხდით. მეც დავშლი სახლს და წამოვალ. აგროსესხები მაქვს გამოტანილი და კობალავას ფულს ვერ გადაუხდით. პირველად რომ გამოგვეცხადა, გვითხრა, ეს მიწები ვიყიდეთო. მერე ხშირად გვსტუმრობდა, დაყვებოდნენ წვერიანი ბიჭები, ამბობდნენ, ეს ნაცისხარი ხალხიაო. ამ მთას შეხედვენიერად ერთი საკლავი დაეუკლათო, ყველი და კარაქი მიეცეთო. ალბათ ამ კობალავას უკან ვილაც დგას. ერთხელ პოლიციის უფროსი ახლდა. ხმამაღალი ლაპარაკი დამიწყო. ვუთხარი, რატომ მიყვირი, ხომ არაფერი დამიშავებია-თქო. შენი დანაშაული ის არის, რომ აჭარელი კაცი აქ ვერ იცხოვრებს, ეს გურიის ტერიტორიააო. ეს ამბავი 2009 წელს მოხდა და ის პოლიციის უფროსი, თუ არ ვცდები, მუჟავანაძე იყო“.

**შოთა ქათამაძე:** „კომპენსაცია მოგვცენ, რომ ჩვენი შენობა-ნაგებობა აქედან გადავიტანოთ, თანხის გადახდას ვერ შევძლებთ. ყიდვის დროს არავინ შეგვკითხვია. 2007 წელს უყიდა საკომიას ძირი, 2013 წელს ჩაასწორა და ჩანერა ბაისურა. ახლა ჩამოვიდა და გვედავება ამ მიწას — 3 ათას ჰექტარ ფართობს. ვერ გადავალთ, ვითხოვთ, დაგვტოვონ იმ 2 ჰექტარზე, სადაც მოსახლეობა ვართ“.

**რევაზ რომანაძე:** „მიწის გაყიდვის შესახებ არაფერი ვიცოდით. როცა გავიგეთ, ოზურგეთის სამმართველოში განცხადება შევიტანეთ. კობალავა იყო მოსული. გვითხრეს, ქობულეთელებს აქ ვერ მოგცემთ ტერიტორიას, ჯერ ადგილობრივები უნდა დაკავშირდეთო. ჩემი წინაპარი 1825 წელს მოვიდა აქ, მეოთხე თაობა ვარ მე, 83 წლის კაცი. მომადგა ეს კაცი და მეუბნება, აბარგე აქედანო. თუ მომკლავენ, თორემ ისე აქედან ვერსად წავალ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახლა საკასაციო სასამართლოშია გასაჩივრებული. სასამართლოს გასულ წელს მოქალაქე გელა კობალავას წარმომადგენელმა, კახა ჩაველიძემ მიმართა, სადაც განმარტა, რომ მის მარწმუნებელს საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება ს/კ 26.33.13.101. რაც წარმოადგენს ალპურ საძოვრებს, რომლის ფართობი 80 0765 კვ.მ. **კახა ჩაველიძის** განმარტავს: „ის, რომ მოსახლეობისთვის მოულოდნელი იყო ან არ იყო ცნობილი, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან 2000 წლიდან იჯარით ჰქონდა აღებული ეს მიწა ჩემს მარწმუნებელს და შემდეგში, 2008 წელს მოხდა გამოსყიდვა. საჯარო თანხას მთელი ამ დროის განმავლობაში იხდის ჩემი მარწმუნებელი. მიწა აუქციონზე ოზურგეთის გამგებამ გამოიქანა. ამ ადამიანებსაც სურდათ მიწის იჯარით აღება, მაგრამ ეს მოახერხა ჩემმა მარწმუნებელმა. არ ვიცი, რატომ ვერ მოახერხეს ამ ადამიანებმა მიწის იჯარით აღება. მას შემდეგ, 15 წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ ხალხთან, რომ იჯარის გადასახადის გადახდაში მაინც დახმარებოდნენ გელა კობალავას. წლიურად, მაგონი, 2 000 თუ 1 800 ლარს იხდის. მოლაპარაკება რომ ვერ შედგა, სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და მიწის გამოთავისუფლება მოვითხოვეთ. მათაც აღძრეს სარჩელი კობალავას მოთხოვნის გაუქმებაზე. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს პრობლემა ამონურულია, კობალავას სარჩელი დაკმაყოფილდა. რადგან ეს ხალხი ვერ შევიდა კობალავასთან გარიგებაში, ისინი ამ ადგილიდან უნდა გაასახლონ“.

## პარსიანისი

### „მთავრობა ჩუქნის კახელ გლეხს 35 თეთრს თეთრ ყურძენში, ხოლო 15 თეთრს საფერავში“

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი შილაშვილის განცხადებით, სპეციალისტების გათვლით, ერთი კილოგრამი ყურძენი გლეხს ის თანხა უჯდება, რასაც სახელმწიფო სუბსიდის სახით იხდის.

შილაშვილის თქმით, ჯამში, ერთ კილოგრამ ყურძენში გლეხი იმაზე ორჯერ მეტ თანხას აიღებს, ვიდრე მისი მოვლა-პატრონობა უჯდება: „სხვათა შორის, ეს სპეციალისტებმა, მათ შორის სამინისტრომ, სხვადასხვა ფერმერმა დათვალეს და ზუსტად იმდენი უჯდება ყურძნის თვითღირებულება, რამდენსაც სახელმწიფო სუბსიდიას უკეთებს მხოლოდ ფერმერს. დანარჩენი, რასაც კერძო ქარხანა იხდის, უკვე სუფთა მოგებაა. ასე რომ, მე გლეხებს ვერ დავეთანხმები, რომ დღეს მათ ვთავაზობთ იმ თანხას, რომელიც მათ შხამქიმიკატებში დახარჯეს. ერთი კილოგრამი ყურძნის მოყვანა გლეხს დაახლოებით 35-40 თეთრი უჯდება. დღეს, სარეალიზაციო თანხა, კერძო სექტორში, თეთრი ყურძნის 70, ხოლო საფერავის 85 თეთრია“.

გუბერნატორ შილაშვილის განმარტებით, მთავრობა მხოლოდ სუბსიდირების საკითხში ერევა: „მთავრობა ჩუქნის კახელ გლეხს 35 თეთრს თეთრ ყურძენში, ხოლო 15 თეთრს საფერავში, იმისთვის, რომ გარკვეული პრობლემებია ეკონომიკისა და რეალიზაციის თვალსაზრისით“.

„პირველი“







თამარ ლოსაძე  
599-20-94-01

ბოლო წლებში ჩასახვის საწინააღმდეგო აბები სულ უფრო პოპულარული ხდება. არც მათი მწარმოებლები იშურებენ რამეს საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის, მაგრამ რამდენად უსაფრთხოა ეს ჰორმონალური პრეპარატები ჯანმრთელობისთვის? მით უმეტეს იმ ფონზე, რომ სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს კიბოს მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით, სიმშვიდის საფუძველს უდავოდ არ იძლევა, არაერთი ექსპერტი კი მიზეზად სწორედ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს ასახელებს. ისინი ჰორმონალურ კონტრაცეპციას ქალების მასობრივი სტერილიზაციის იარაღს უწოდებენ და განგაშის ზარს რეკენ, რადგან არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ბაზარზე, წვიმის შემდეგ სოკოვანი მომრავლებულ ახალ-ახალ პრეპარატებს სათანადო კვლევა არ უტარდებათ და ამას მოწმობს ჰოპკინსის უნივერსიტეტის „დე-მოგრაფიული ანგარიში“.

ექსპერტები განსაკუთრებულ სიფრთხილს საინექციო კონტრაცეპტივების მიმართ გვორჩევენ და აი, რატომ: საქმე ის გახლავთ, რომ ერთი ინექცია არასასურველი ორსულობის აღბათობას რამდენიმე თვით აქრობს, მაგრამ თუ მსგავსი პრეპარატები ესოდენ სანდოა და თან მაღალეფექტური, აშშ-ს წამლისა და საკვები პროდუქტის მაკონტროლებელი ორგანოები 25 წლის განმავლობაში რატომ კრძალავდნენ მათ? ისინი აცხადებდნენ, რომ მაიმუნებზე ჩატარებული კვლევები უშედეგო იყო და პრეპარატის მიღების შემდეგ, ცხოველებს სიმსივნე უფითარდებოდათ.

საინტერესოა, რა შეიცვალა დღეს — საქმე ისაა, რომ მსგავსი „თითიდან გამოწვეული არგუმენტები“ კონტრაცეპტივების მწარმოებელი ფირმებისთვის ბარიერად ვერ იქცა, რამდენიმე წლიანი ბრძოლის შემდეგ მიადნეს, რომ არააპრობირებული პრეპარატი ტალიანდში დაერეგისტრირებინათ.

მაღე ამ პრეპარატებმა ბაზარზეც დაიპყდრეს ადგილი და დღეისთვის ტალიანდის სუსტი სქესის წარმომადგენელთა 12 პროცენტი მოიხმარს მათ.

ეს ფაქტი არ გამოჩენიათ რასიზმის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ადანაშაულებდნენ კონტრაცეპტივების მწარმოებლებს, რომ მათ უფრადკანინი მოსახლეობა საცდელ კურდღლებად გამოიყენეს... თუმცა რამდენიმე წელიწადში ეს ვნებათაღელვაც ჩაცხრა მას შემდეგ, რაც ფარმაცევტულმა გიგანტებმა უსუსური მტკიცებულება წარმოადგინეს და განაცხადეს, რომ „**ადამიანის ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ჰორმონებზე მკვეთრად განსხვავდება ცხოველის ორგანიზმის რეაქციებისგან**“.

ამის შემდეგ აშშ-ს წამლის კონტროლის სააგენტო აღარ ითხოვს კანტრაცეპტივების შემოწმებას კანცეროგენულ ეფექტზე. საკითხავი კი ისაა, რამდენად გამორიცხავს ეს „ფაქტი“ მათ უვნებლობას.

„ახალი თაობის ჰორმონალური კონტრაცეპტივებში ჰორმონების დოზები მკვეთრად შემცირებული და აქედან გამომდინარე, ისინი უსაფრთხოა“, — ასეთია არგუმენტი, მაგრამ არსებობს კვლევები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: თავბრუსხვევა, გულსრევა, ჰიპერტონია, ტრომოფილემიები, უშვილობა, გამელოტება... ეს ამ პრეპარატთა გვერდითი ეფექტებია და მათი ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება იკრძალება სხვადასხვა დაავადების დროს, განსაკუთრებულ რისკჯგუფში კი მოზარდები ხვდებიან, რადგან საინექციო კონტრაცეპტივები ფარულ სისხლდენას იწვევს. „**წამლის მიღების პირველივე წელს ნორმალური მენსტრუალური ციკლი მხოლოდ 10 პროცენტს აქვს, წამლის მიღებიდან პირველი ექვს თვეში სისხლდენა ხდება, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი ხანგრძლივია, რომ სამედიცინო ჩარევა ხდება საჭირო**“, — ნათქვამია „დემოგრაფიული ანგარიში“.

ამ პრეპარატებს ნაკლებად მოშობივლელს ხდის კიდევ ერთი ფაქტორი — სიმსუქნე. ზოგი ქალი წელიწადში მათი წყალბოლით 13 კგ-ს იმატებს, „გარდა ამისა, **ორალური კონტრაცეპტივების მიღების შედეგად საკვრცხეები მკვეთრად მცირდება ზომასში და ისეთივე ხდება, როგორც მენოპაუზისას**“, — აცხადებენ ექსპერტები და სვამენ რიტორიკულ კითხვას — რა მოხდება, თუკი დავახშობთ ჰაერის მიწოდებას ფილტვებში, ან სისხლის მიმოქცევას სისხლძარღვებში? ჰორმონალური კონტრაცეპტივები წლების განმავლობაში მიიღება და ამ პერიოდში ორგანიზმი თავის ნორმალურ ფუნქციას არ ასრულებს, შედეგად კი არაერთი პრობლემა იჩენს თავს და წამლის შეწყვეტის შემდეგაც რისკი არ მცირდება.

ცალკე თემაა სიმსივნის წარმოქმნის ალბათობა — პრეპარატების მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ კონტრაცეპტივები არ წარმოქმნის სიმსივნეს და ხშირად, განკურნებასაც უწყობს ხელს, მაგრამ აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი საპირისპიროს ამტკიცებს — 35 წლამდე ქალებში, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატებს რეგულარულად იღებენ, სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკი 20%-ით მაღალია, ვიდრე იმ ქალებში, ვინც მსგავს პრეპარატებს არ ეყარება. ბრიტანელ მეცნიერთა კვლევები კი ბევრად საგანგაშოა. მათი მონაცემებით, კონტრაცეპტივების მიღების შედეგად 36 წლამდე ქალების სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადების რისკი 40%-ით მაღალია, ხოლო მათში, ვინც მსგავს პრეპარატებს რვა წელზე მეტია იღებს — 70%.

# თანამედროვე კონტრაცეპტივები კიბოს იწვევს

## „რა უფრო გენოციდია — ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღება თუ აბორტების შედეგად უშვილო ქალების რაოდენობის ზრდა?!“

როგორ აისახება ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები ქალის ჯანმრთელობაზე და მათ შთამომავლობაზე? ტალიანდში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ბავშვებს, რომლებიც კონტრაცეპტივების შეწყვეტის შემდეგ გაჩნდნენ, ქრომოსომული დეფექტები აღენიშნებათ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით მეცნიერები თანამედროვე კონტრაცეპტივებს ფარულ გენოციდად აღიქვამენ. აცხადებენ, რომ სინთეზური ჰორმონები, რომლებსაც ისინი შეიცავს, ჯანმრთელობას ვნებს და ზოგ შემთხვევაში ლეტალური სრულდება. ისინი აპელირებენ, რომ თანამედროვე კონტრაცეპტივები ჩასახვას ნაკლებად უშლის ხელს, სამაგიეროდ წარმოუდგენელია მათ ფონზე ორსულობის ბოლომდე მიყვანა, ხოლო რაც შეეხება საავალალო შედეგებს, გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემები, მხედველობის დაქვეითება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა... როგორც წესი ექიმები ამ პრობლემებს არანაირად არ უკავშირებენ ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებას, მაგრამ რამდენიმე წლიანი კვლევები პარალელურად გაკვლევის აუცილებლობას თავისთავად წარმოქმნის.

რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სიმართლეს, არის თუ არა ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღების შედეგად

სიმსივნის წარმოქმნის რეალური საფრთხე, „ვერსია“ ექიმ რეპროდუქტოლოგს, მეან-გინეკოლოგ ნინო ქანთარიას დაუკავშირდა: „**ნებისმიერი კონტრაცეპტივი აუცილებლად ექიმის მიერ უნდა დაინიშნოს და თუ სწორადაა შერჩეული, მაშინ უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის... არის მაღალდოზირებული, დაბალდოზირებული პრეპარატები და ისინი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. რაც შეეხება სინთეზურ ჰორმონებს, მათ ჩასახვის საწინააღმდეგო აბები უდავოდ შეიცავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად საზიანოა. უნდა მოხდეს საშვილოსნოს ყელის, ძუძუს მდგომარეობის გამოკვლევა, ჩატარდეს სასქესო ორგანოების ექსკოპია და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩეს პრეპარატი. არსებობს კვლევები და ბევრ ქვეყანაში ზოგიერთ კონტრაცეპტივს სიმსივნის საპროფილექტიკოდაც კი ნიშნავენ. „ფარულ გენოციდას“ დაკავშირებით კი გეტყვით — რა უფრო გენოციდია, კონტრაცეპტივების მიღება, თუ დაუგეგმავი აბორტების შედეგად უშვილო ქალების რიცხვის მატება? სწორედ დაუგეგმავი ორსულობის შედეგად იზრდება აბორტების მაჩვენებელი და შედეგად — უშვილო ქალების რაოდენობაც“.**

### სენსაციური მედიცინაში

## ქართველ სიამის ტყუპს გერმანიაში უნიკალური ოპერაცია ჩაუტარდა

### „საოცრებაა, თამარი და თებროდე მადე ცად-ცადვე ირბენენ“

ლელა ჩაჩავა

„**ვერსიისთვის**“ გერმანიაშია ახლახან, გერმანული პრესა ერთ-ერთ ნამყვან კლინიკაში წარმატებით დასრულებულ უნიკალურ ოპერაციაზე ალაპარაკდა. გერმანული გაზეთების პირველი გვერდი სამედიცინო სენსაციას დაეთმო — ექიმებმა ქირურგიული ჩარევით, 6 თვის სიამის ტყუპი გააცალკევეს. ქართველ პაციენტებს, თამარსა და თებროლეს, ურთულესი და ძვირი — 81 000 ევროდ შეფასებული ოპერაცია შემოწირულობით ჩაუტარდათ. გოგონების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მეტიც, გერმანული მედია იტყობინება, რომ მალე გოგონები თანატოლების მსგავსად შეძლებენ, ირბინონ და ითამაშონ.



მოსალოდნელი იყო. ამას ფსიქოლოგიურად უგულებელვყოფდით — ქირურგიული ჩარევისას სრული ორიენტირება და კონცენტრაცია, ემოციის ფარავდა, — იხსენებს ორგზის მამა, თვალსაჩინო პედიატრი, ქირურგი, პროფესორი, რომლის სახელსაც არაერთი რთული ოპერაცია უკავშირდება.


175 დღე იცხოვრეს გოგონებმა ისე, რომ ერთმანეთთან იყვნენ შესისხლხორცებულნი. დღეს კი მათ კოლნის ბავშვთა კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, განცალკევებულ საწოლებზე სძინავთ. ჩვენი თანამემამულეები, თამარი და თებროლე პირველი სიამის ტყუპია ამ კლინიკაში. პატარა პაციენტები აქ ყველას ძალიან უყვარს.

ეს ოპერაცია, მთელი სამედიცინო სფეროსთვის, სენსაცია და წარმატებაა. 32 წლის ქართველი დედისთვის კი გამარჯვება — იგი ხომ ექვსიოდე თვის წინ, სასონარკვეთილი, იმედგადასურული იყო და მხოლოდ სასანაულის იმედი ჰქონდა. ეს ოპერაცია მისთვის ნატურის ახდენა, მეორედ დაბადებაა. „ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მშობლის პოზიცია, რწმენაა“, — ამბობს გერმანელი პროფესორი, — „ეს რომ არა, უძლური ვიქნებოდი. მან დიდი და პრობლემები თავს გზა გამოიარა საქართველოდან გერმანიაში, შეუძლებელი შეძლო და კოლნის კლინიკის ექიმებს ანდო ტყუპის სიცოცხლე. მისი რწმენა ჩვენც ძალას გვმატებდა“.

ტყუპის ოპერაციის დასრულებას, საქართველოში მამა, ნათესავები და გულმემატკივრები სულმოუთქმელად ელოდნენ. მათ დაბრუნებას უფროსი დაიკო, 2 წლის თეკლაც ელის.

მათი მდგომარეობა სტაბილურად, დღითიდღე უმჯობესდება. „ჭრილობის კვალც არ დარჩებათ, ნორმალური, დაუბრკოლებელი ფიზიოლოგიური მდგომარეობა ექნებათ, შეძლებენ განვლონ ცელქი, ონავარი ბავშვობა, მართონ ველოსიპედი, ფეხშიშველებმა მოიბინონ მინდორ-ველი, იცუკონ...“, — აცხადებს პროფესორი ტომას ბიუმერსი და „საიუველირო ოსტატობის“ კვალზე — გოგონების მუცელზე მიუთითებს, — „იმედია, ლამაზი, დახვეწილი გამოიყვანება. არც გარუჯვის შერცხვებათ და თუ მოისურვებენ, მოდელიც გამოვლენ“, — ხუმრობს და პატარებს ისე ეფერება, ემოციას გერმანელი უურნალისტებიც ვერ მაღავენ. ამიტომაცაა, ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი სტატიას, ავტორი ამგვარად რომ ამითარებს: „პროფესორი ისეთი სითბოთი, სიყვარულით ეფერება პატარებს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიყვარულია პროფესიონალიზმის სათავე. ერთი მეორეს ვერ გამოიცხავს, ორივე ერთად კი გმირობის ტოლფასი ხდება“.



1. (ძე) ლენის გემის გამსინჯველი										2. გზის გადასაკეტი მოწყობილობა რკინიგზის გადასასვლელებთან												
3. ქლია-ვის ვიში ერთ-გვარი	4. შალის საოინი საკოსტიუმე ქსოვილი	5. ზღაპრული შინაარსის იგავი													6. მოძრაი ცირკის კარავი	7. რეკლამის სახელწოდება აშშ-ში	8. საქონლის შესაფუთი მასალა					
9. ტყე პარიზთან	10. სახელმწიფო-ანკლავი სამხრეთ აფრიკაში	11. ჩველი ბავშვის საწოლი													12. სალამურას მეგობარი გოგონა	13. სამხრეთ-ამერიკული წიწვოვანი ხე	14. არსაყანის ცხენი „მთავრის მოტაცებაში“					
16. თავბრუსხვევა															17. მხრე-წინა-ვი რგოლი წმინდანის თავზე	18. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება	15. ნასატი სვავასა ფერის ქაღალდების დაწვებით					
																	19. ამერიკ. მსახიობი ... ბროსნანი					
20. ძველებური საბრძოლო გრძელბრძოლიანი ჩაქუჩი	21. ებრაელის სახელწოდება	22. ფასიანი ქაღალდების გამოშვება													23. მოკლე მუსიკალური მისალმება	24. ყური ალქმული ბეგრა	25. მწვეული სტრიკონი ტექსტი	26. ახალზე-ლანდური უფრო ფრინველი				
27. მსჯელობა რაიმე საკითხის გარშემო	28. იაპონური თეატრის სახეობა	29. ამერიკელი მსახიობი													30. ქართული დასახლება ბამ-ზე	31. მამალი თხა	32. ტატიაზე წერილობითი კრიტიკული გამოხმაურება					
33. ძროხის ბარკის ქვედა ნაჭერი	34. ირლანდიის თვისახელობა	35. ყვითელი მინერალური საღებავი													36. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება	37. კარგი ამინდი	38. პატარა კენჭურუ	39. მტკნარი წყლის დღეფინი	40. ისრაელის სახელმწიფო ენა			
41. ბალახის ჩრდილი	42. ისტორიული ოლქი საფრანგეთში	43. ანტიკური ჯარის საბრძოლო წუობა													44. ნარინჯისფერი კენკრა	45. აზოტმკვას მარილი	46. ფრანგი მსახიობი ... დეპარდე	47. ამერიკელთა მეტსახელი	48. ინდიელთა ტომი	49. დროის მონაკვეთი	50. იაპონიის იმპერატორთა ტიტული	51. შუამავალი ვაჭრობაში
52. უმაღლესი კვალიფიკაციის სო სპეციალისტი	53. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება	54. პატარა თევზაბურავი													55. მწერი-ჭაბი მცენარე	56. ადოლფ ჰიტლერის ოფიციალური წოდება	57. ჭადრაკის სათამაშო „მოუდანი“	58. ჭაობის მცენარე				
59. ძალღონე არაქათი	60. უფლის მიერ შექმნილი ადამიანი	61. მდინარე ჩრდილო-აღმოსავლეთ ქაბანეთში													62. ობობად ქცეული გოგონა ბერძ. მით.	63. იგივე მსახიობი	64. უფეს მტბ-ზნის ქალაქი	65. წინარე-ბისგან დაკვირვებული წესი ჩვეულება	66. ბერის გრაფიკული ნიშანი	67. წუთის მესამოცედი		
68. ცეცხლის მნათი ნაწილი	69. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი	70. თევზის ქონისგან მიღებული თხევადი ცხიმი	71. პატარა ტყე მინდორში	72. იგივე რაც ფრინობი	73. ნახევრად ძვირფასი ქვა	74. ქვეყნის შიარაღებულ ძალთა ერთობლიობა	75. წებოვანი ლენტე	76. ოდისესის მშობლიური კუნძული	77. კატის გასაღები შეძახილი	78. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულელი	79. ქართველთა წმინდანი ქალი	80. ვაზაფხულის ყავილი	81. ჯუჯა ხე-ბის გამოზრდის ხელოვნება იაპონიაში	82. საკანცელი-აროი ნიფი, ჭიკარტი	83. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა	84. პოლიეთილენის ლეგენდა ... ბრანდო						

# ყველაზე უსუნაური საბგბაო წესები



თუ გიყვართ ავტომობილით მგზავრობა, მაშინ ეს ინფორმაცია აუცილებლად გამოგადგებათ. მაგალითად, ავსტრიაში შესაძლოა სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაგაჯარიმონ, რასაც რადარით კი არა, თვალთ შომავენ; ჩინეთში ტურისტებს მანქანის საჭესთან დაჯდომა მხოლოდ მართვის უფლების ადგილობრივი მოწმობის ალბის შემდეგ შეუძლიათ, რაც თეორიის ჩაბარებას გულისხმობს. აშშ-ში, კენტუკის შტატში მანდილოსნებს შეუძლიათ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილებმა მართონ ავტომობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქვთ თავდაცვის საშუალებები ან... ორი პოლიციელი აცილებს. ყველა იცის, რომ გერმანია ძალიან დიდხანს მანქანის მართვისას ტანსაცმლის არჩევას. რაკილა ავტომობილი კერძო საკუთრებად ითვლება, შიშველსაც შეგიძლიათ მართოთ, თუმცა თუ ფეხზე არაფერი გეცმევათ და შემთხვევით ავარიაში მოყვებით, დაზღვევის თანხას ნულარ დაელოდებით, კომპანიები ამ შემთხვევაში ზარალს არ ანაზღაურებენ. ინგლისის გზებზე მანქანით მოსიარულეებს თუ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოუნდათ და საპირფარეოც ახლოს არსადაა, შეუძლიათ გზის პირას გააჩერონ, მანქანის უკანა ნაწილისკენ გადაინაცვლონ და ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, ოღონდ მარჯვენა ხელი საკუთარ ავტოზე უნდა ედოთ, სხვა შემთხვევაში ჯარიმა გარდაუვალია.

იტალიაში მოგზაურობისას, თუ საყვარელი ოთხფეხა მეგობარიც გახლავთ, აუცილებელია უსაფრთხოების ქამარი მასაც გადაუჭიროთ. არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში აქლემი მალაი სტატუსის სიმბოლოდ მიიჩნევა და უდაბნოს „კუზიანი მეფის“ მიმართ პატივისცემა საგზაო ნესებშიც აისახა — გზაზე მოძრაობისას პრიორიტეტი აქლემებს ენიჭებათ და მათ აუცილებლად უნდა დაუთმოთ გზა. თქვენც უსაფრთხოებიდან გამოდინარე, ჩეხეთსა და ხორვატიაში აკრძალულია მანქანით ბენზინის „კანისტრების“ გადატანა. სამაგიეროდ, აუცილებლად უნდა გქონდეთ სათადარიგო ლამპების კომპლექტი. ამერიკაში, მინესოტას შტატში გორილებს შეუძლიათ ავტომობილით მოგზაურობა, მაგრამ მხოლოდ მძღოლის გვერდით სავარძელზე. უკანა სავარძელზე თუ მიუჩნით ადგილს, დაგაჯარიმებენ.





ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

4x4 grid puzzle with numbers 7, 4, 1, 3, 4, 2, 9, 8, 3, 7, 9, 3, 1, 6, 7, 9, 4, 1, 3, 6, 5, 1, 9, 2, 4, 8, 5.

4x4 grid puzzle with numbers 7, 4, 7, 6, 5, 5, 9, 8, 7, 9, 8, 2, 2, 8, 4, 5, 4, 1, 6, 6, 2, 5, 4, 8, 4, 3, 6, 5.

4x4 grid puzzle with numbers 8, 3, 2, 7, 6, 1, 5, 8, 4, 3, 5, 1, 6, 7, 5, 9, 3, 4, 6, 2, 2, 7, 9, 3, 8, 9.

4x4 grid puzzle with numbers 7, 5, 3, 4, 5, 4, 3, 8, 7, 3, 1, 2, 5, 7, 8, 4, 2, 9, 5, 4, 7, 3, 8, 5, 7, 2, 8, 4, 5, 3, 7.

ვინ ისვენებს ყველაზე მეტს მსოფლიოში



პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ სპეციალური კვლევა ჩაატარა იმის დასადგენად, ყველაზე მეტს ვინ ისვენებს მსოფლიოში. როგორც ირკვევა, გერმანელები წელიწადში მხოლოდ 1440 საათს მუშაობენ, დანარჩენ დროს კი გართობასა თუ მოგზაურობაში ატარებენ, წელიწადში 20-დღიანი შვებულება აქვთ და ნება რომ ჰქონდეთ, ყოველი ორი სამუშაო კვირის შემდეგ, ერთ თვეს დაისვენებდნენ. თუმცა, სწავლულები გვარწმუნებენ, რომ დიდხანს დასვენება ინტელექტის კოეფიციენტს აქვეითებს და შრომისუნარიანობის აღსადგენად ადამიანს სულ ცოტა, 4-5 დღე სჭირდება.

შეიძლება ითქვას, სამხრეთ კორეელები თითქმის არ ისვენებენ — წელიწადში ერთხელ, მხოლოდ 10 დღით მიდიან შვებულებაში, ისიც — ყოველთვის არა. მათ აქვთ ოფიციალურად გამოცხადებული 11 დასვენების დღე და 52 კვირა, შაბათი კი აქტიური სამუშაო დღეა. წლების წინ ამომავალი მზის მცხოვრებლებს ყველაზე მშრომელებად აღიქვამდნენ და ამბობდნენ, რომ ისინი არასოდეს ისვენებდნენ, თუმცა ხუთი წლის წინ იაპონელებმა პირველი ადგილი დაიკავეს

რეიტინგში, როგორც კარგი დასვენების მცოდნე ერმა. ახლა ისინი 1780 საათს მუშაობენ წელიწადში, ოფიციალური შვებულება ორკვირიანია, თუმცა ბევრი იაპონელი მხოლოდ ერთი კვირით მიდის დასასვენებლად. ზოგიერთი კომპანია თანამშრომლებს, ნების საწინააღმდეგოდაც კი ასვენებს. საკუთარი მოქალაქეების იძულებით დასვენებაზე ხელისუფლებამაც იზრუნა და წელიწადში 20 უქმე დღე გამოაცხადა.

„მწვანე კონტინენტზე“ მცხოვრებნი წლის განმავლობაში 30-დღიანი შვებულებით სარგებლობენ. ავსტრალიელთა უმრავლესობა ამ პერიოდს ევროპაში ატარებს. მათში განსაკუთრებით პოპულარული სამშობლო არდადეგებია. იტალიელებს წელიწადში 1800 სამუშაო საათი აქვთ, ოფიციალური შვებულება კი საკმაოდ ხანგრძლივი — 32-დღიანია. ისრაელში წელიწადში 1797 საათს მუშაობენ, 24 დღით კი შვებულებაში წასვლა შეუძლიათ. რაც შეეხება აშშ-ს, აქ კანონით წელიწადში 1797 სამუშაო საათია დადგენილი, ოფიციალური სამშვებულებო ლიმიტი კი არ არსებობს.



სიყვარული მავნეა

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიყვარული შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში იყოს და ამ ფაქტორს სამედიცინო მტკიცებულებებიც მოუძებნეს. სწავლულები აცხადებენ, რომ რაც შეიძლება იშვიათად უნდა იყოს ადამიანი შეყვარებული, რათა ჯანმრთელობა ზედმეტი დატვირთვისგან დაიცვას. ექსპერიმენტები ამტკიცებს, რომ იმ ადამიანების ორგანიზმში, ვინც ამ „ამაღლებულ“, რომანტიკულ მდგომარეობაში ხშირად არის, სერიოზული უარყოფითი ცვლილებები ხდება, რაც ძლიერი სტრესითაა განპირობებული. ამის გამო ორგანიზმის დამცავი რესურსებიც სუსტდება. სწავლულები ამბობენ, რომ შეყვარებული მდგომარეობისთვის დამახასიათებელია თვალის გუგების გაფართოება, გაძლიერებულია ოფლდენა ხელისგულზე, გახშირებულია გულისცემა. ამასთან, სისხლში ხდება ადრენალინის დიდი რაოდენობის გასვლა, რაც ნეგატიურად მოქმედებს ორგანიზმზე. ექსპერტები ამით ხსნიან ვარიანტებს, როცა შეყვარებული ადამიანი ფიზიკურ ძალას უჩივის. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ე.წ. შეყვარებულობის სენი იმ დაავადებების ანალოგიურია, რაც სტრესული სიტუაციებითაა გამოწვეული.

წინა ნომერი გასული სკანოქრისა და სულოქუს პასუხები

Grid puzzles for the crossword section, including 'ადვილი', 'სტანდარტი', 'რთული', and 'ექსპერტი'.

- მე-12 გვერდი: 1. თორმეტი; 2. ჯორდანი; 3. თუთა; 4. რულონი; 5. ემბალი; 6. იაქი; 7. ჯუჯა; 8. რავი-ოლი; 9. აკრიბა; 10. მირკანი; 12. იფრიკია; 13. ონი; 14. ქობულეთი; 15. შიიზმი; 16. კომოდუსი; 17. ლუხუმი; 18. კარაბაჯო; 19. „ინფინიტი“; 20. ოზონი; 21. კოლბა; 22. არია; 23. კლი; 24. ორატორი; 25. იტალიკი; 26. ორლი; 27. ალური; 28. ზრო; 29. ბრიულოვი; 30. ედემი; 31. ანოა; 32. უინსლეთი; 33. მიხაი; 34. ანდრია; 35. კრეტა; 36. აპო; 37. ნარინი; 38. დამა; 39. ამიშია; 40. ანეტო; 41. ალია; 42. მანგო; 43. ნაიდა; 44. პოლეთა; 45. ლიე; 46. მანა; 47. ასა; 48. მინიმუმი; 49. ნეი; 50. ომი; 51. ოდენსე; 52. ალა; 53. ევრიკა; 54. ლა; 55. დონ; 56. სასა; 57. აგატა; 58. მანამა; 59. მარინინა; 60. იო; 61. ილინოსი; 62. აგა; 63. იმპალა.

ასპირინი მხედველობას აზიანებს

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, ვინც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად დეგენერაციული თვალის დაავადების — ბადურას ასაკობრივი დეგენერაციის წინაშე, რომელიც საბოლოოდ სიბრძნვეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოაჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს. ეს ადამიანები კვირაში ორჯერ სვამდნენ ამ პრეპარატს სისხლის გასათხელებლად, თრომბოზის პროფილაქტიკისთვის. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი პროცენტი ადრე თუ გვიან თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში მათ ამ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდათ. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ პრეპარატის მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.



ვერსია logo and contact information: მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7. e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: მაია ფურცელაძე (599) 62-88-77 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი მმლიაზბუში: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე. სტილისტი - ნინო ებანოძე დიზაინერი - გიორგი ლომსაძე ტელ: +995 322942399



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.





**125**  
დასვის პოლიცია  
SECURITY POLICE

## იხმორათ მუხიდად

**დაზოგათ ნელინადუი 300 ლარი**

**ზინა - 60 ლარი**

**აგარაჟი - 100 ლარი**

**ზინას + აგარაჟი**

**= 135 ლარი**



**დასვის პოლიციის მიერ დასული სააგარაჟე ზონები:**

**წყნეთში, ბათიანთში, ქოჯოგში, საგარაგოში, შინდისში, ტაბახმელაში,  
ოქროყანაში, ნავისში, ბოჯოგში, ბაქარიაში, კვარიათში,  
ზაკაში, ბონიოში, სარაში, ნაბახარში, მისაქიძეში,  
ქოჯოგში, ბუღაჩაშვილი, არაგვისიერსა და ნითელსოვლი.**

[www.125.ge](http://www.125.ge) SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125



**125**  
დასვის პოლიცია  
SECURITY POLICE

## იხმორათ მუხიდად

**დაიხავით თქვენი ქონება თანამედროვე დასვითი სისტემებით**



**დასვის პოლიცია თქვის საქმიანობას მაღალი კლასის საბრანდო სერვისით  
საშუალებებით ახორციელებს. დაქვემდებარება და რეგულირება მოქალაქეთა  
უსაფრთხოებას მოეხდინება რეაგირების 60 წამში უმსხვილესად.**

## შინაგან საქმეთა მინისტრმა დაღუპული პოლიციელის შვილი ახალ სსსწავლო წელს სკოლაში წაიყვანა



შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა, მისმა მოადგილეებმა, სხვადასხვა დეპარტამენტის, სამხარეო სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებმა, რიგითმა პოლიციელებმა შს მინისტრის დაღუპული თანამშრომლების შვილებს სასწავლო წლის დაწყება პირადად მიულოცეს, საჩუქრები გადასცეს და სკოლაში წაიყვანეს.

2015 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების — გიორგი ბერუაშვილის და ბექა მარგიშვილის შვილებისთვის მამის გარეშე პირველი სასწავლო წელია. შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბექა მარგიშვილის შვილი, ოთარ მარგიშვილი სკოლაში პირადად წაიყვანა, ხოლო გიორგი ბერუაშვილის შვილი, მარიამ ბერუაშვილი — მამამისის მეწყვილე გიორგი მახარაშვილმა.

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროს თანამშრომლებმა დაღუპული პოლიციელების შვილებს, უფროს კლასელებს გურამ დოჩანაშვილის წიგნი „სამოსელი პირველი“ გადასცეს, თავად ავტორისა და შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის სამახსოვრო წარწერებით, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კი სასკოლო ჩანთა, მაჯის საათი სიმბოლური წარწერით და სასკოლო ნივთები.

**„არის წუთები, როდესაც მამის თანადგომა განსაკუთრებით გჭირდება... სწორედ ამან გადამწყვეტი-  
ნა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი ჩვენი პოლიციელების  
შვილების გვერდით მათი მამების კოლეგები დავმდგარიყავით. ოთოს მამამ სიცოცხლე თითოეული  
ჩვენგანის უსაფრთხოებას შესწირა. დღეს მისი შვილის გვერდით სახელმწიფო დგას. ეს ყოველთვის  
ასე იქნება“**, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა სკოლაში სტუმრობისას.

შინაგან საქმეთა მინისტრო აღნიშნული აქციით კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს იმ რიგითთა და ოფი-  
ცერთა მარადიულ ხსოვნას, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ. შინაგან  
საქმეთა მინისტრის სურვილია, ამ აქციით თითოეულმა ამ ბავშვმა იგრძნოს, რომ ქვეყანა არ იგინებს მათი  
მამების ღვაწლს სამშობლოს წინაშე, ყოველთვის მათ გვერდითა და ზრუნავს მათზე.

*„ვერსიანუსი“*

## დასვის პოლიციის თავმჯდომარე დაღუპული პოლიციელის შვილს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა

შს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გურამ ტომარაძემ დაღუპულ, სოფელ არაგვისპირში ახალი სასწავლო წლის დაწყება თაია ნიკლაურს მიულოცა. 6 წლის თაია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი დაცვის პოლიციელის ზურა ნიკლაურის შვილია, მას სასკოლო ინვენტარი და სიმბოლური საჩუქარი საათი წარწერით „მამაჩემი გმირია“ გადაეცა. გარდაცვლილი პოლიციელების შვილები სკოლაში შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით წელს სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა მიაცილეს.

*„ვერსიანუსი“*



*„ვერსიანუსი“*